Le catholicosat d'« Abkhazie » et son statut historico-juridique

«აფხაზეთის» საკათოლიკოსო და მისი ისტორიულ-სამართლებრივი სტატუსი

Zurab Papaskiri – ზურაბ პაპასქირი
Université d'État de Soukhoumi, Géorgie
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

Abstract: Exploiting false historiographical statements was at the basis of the Abkhazian separatist ideology. The issue of the national and state affiliation of the so-called Catholicosate of «Abkhazia» is forced upon the Abkhazian society. Although the Georgian historiography has proven the groundlessness of the Abkhazian vision of the Catholicosate of «Abkhazia» that is unfounded, it is still relevant to pay attention to this issue.

The paper shows the general picture of the origin and development of the Western Georgian church organization, which was called the Catholicosate of «Abkhazia». It explicitly shows the unsustainability of the myth that the Catholicosate of «Abkhazia» was an Abkhazian church organization.

The so-called Catholicosate of «Abkhazia» has always been a Georgian church organization, whose jurisdiction spread throughout all Western Georgia. Its foundation was predetermined by the activities of the «Abkhaz» kings of Western Georgia. Those activities were Georgian (not the mythical Apsua-Abkhazian) in their political, state, ideological or cultural realm and their final goal was the unification of the Georgian ethnical, cultural, and political universe and the creation of the all-Georgian state around the Kutaissi throne.

Keywords: Abkhazian separatist ideology; Catholicosate of «Abkhazia»; religious conflict; historic-legal status; unified Georgian state; Abkhaze-Apsua Language

რეზიუმე: აფხაზური სეპარატისტული იდეოლოგიის ერთ-ერთი მთავარი საყრდენი ყოველთვის იყო ყალბი ისტორიოგრაფიული პოსტულატებით სპეკულირება. ერთ-ერთი ყბადაღებული თემა, რომლის ირგვლივაც დღემდე არ წყდება აფხაზური საზოგადოების ზომბირება, არის ე.წ. «აფხაზეთის» საკათალიკოსოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იერსახის საკითხი. მიუხედავად იმისა, რომ ქართულმა ისტორიოგრაფიამ დამაჯერებლად დაასაბუთა «აფხაზეთის» საკათალიკოსოს ზეაფხაზური ხედვის სრული უსაფუძვლობა, ოკუპირებულ რეგიონში ბოლო დროს განვითარებული საეკლესიო კონფლიქტის ფონზე, აღნიშნულ პრობლემაზე ყურადღების კიდევ ერთხელ გამახვილება კვლავ გახდა აქტუალური.

ნაშრომი წარმოადგენს ერთგვარ ზოგად მიმოხილვა-დასკვნას, რომელშიცმოცემულია «აფხაზეთის» საკათალიკოსოდ წოდებული დასავლეთ საქართველოს საეკლესიო ორგანიზაციის წარმოქმნისა და განვითარების ზოგადი სურათი. მასში ერთნიშნად დასტურდება, რომ ე.წ. «აფხაზეთის» საკათალიკოსო ისტორიულად ყოველთვის იყო მხოლოდდამხოლოდ ქართული საეკლესიო ორგანიზაცია, რომლის იურისდიქცია ვრცელდებოდა მთელ დასავლეთ საქართველოზე. მისი წარმოქმნა უკავშირდება დასავლეთ საქართველოს «აფხაზ» მეფეთა მკვეთრად გამოხატულ ქართულ (და არა მითიურ აფხაზურ-აფსუურ) პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ და იდეოლოგიურ-კულტურულ მოღვაწეობას, რომლის საბოლოო მიზანი ქართული ეთნო-კულტურული და პოლიტიკური სამყაროს შეკვრა და ქუთაისის ტახტის ეგიდით საერთო-ქართული სახელწიფოს შექმნა იყო.

საკვანძო სიტყვები: აფხაზური სეპარატისტული იდეოლოგია, «აფხაზეთის» საკათოლიკოსო, საეკლესიო კონფლიქტი, ისტორიულ-იურიდიული სტატუსი, საერთო-ქართული სახელმწიფო

❧❧❧❧

საყოველთაოდ ცნობილია, თუ რა დიდი როლი ითამაშა საქართველო/აფხაზეთის ისტორიული წარსულის გაყალბებამ ქართულ-აფხაზური ისტორიული ძმობისა და ერთობის მოშლაში. სწორედ ისტორიული სიმართლის ფალსიფიკაცია იყო ერთ-ერთი უმთავრესი იარაღი აფხაზური სეპარატისტული მოძრაობის იდეოლოგიურ არსენალში. ათეული წლების მანძილზე აფხაზური სეპარატიზმის «სულიერი მამები» ძალ-ღონეს არ იშურებდნენ და წარმატებითაც ახერხებდნენ, აფხაზთა მეხსიერებიდან «ამოეძირკვათ» ქართულ-აფხაზური ისტორიული ერთობის შეგნება. აფხაზობას თავს ახვევდნენ ყოვლად დაუსა-

ბუთებელ და ყალბ «თეორიებს» იმის შესახებ, თითქოს აფხაზ ხალხს ისტორიულად არასოდეს არაფერი აკავშირებდა საერთო-ქართულ ეთნო-კულტურულ და პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ სამყაროსთან. უფრო მეტიც, საქართველო, ქარ-თველი ხალხი გამოცხადებული იყო აფხაზთა თავზე დატრიალებული ყველა უბედურების მიზეზად. თვით ისეთ ფაქტშიც კი, როგორიც იყო XIX ს. 60-70-იან წლებში ცარისტული რუსეთის მიერ მაჰმადიან აფხაზთა დიდი ნაწილის ოსმალეთში გადასახლება, არც მეტი, არც ნაკლები, ქართველებს ადანაშაულებდნენ.

რუსეთის იმპერიამ ჯერკიდევ XIX ს. 60-იანი წლებიდან შეიმუშავა ქართულ-აფხაზური კულტურულ-ისტორიული ერთობის მოშლის «სახელმწიფო» პროგრამა. პირველი დიდი ნაბიჯი, რომელიც იმპერიამ ამ მიმართულებით გადადგა, იყო რუსული გრაფიკის საფუძველზე აფხაზური დამწერლობის შექმნა, რომელიც, თვით ამ ანბანის შემქმნელის, გენერალ პეტრე უსლარის აღიარებითვე, მიზნად ისახავდა აფხაზთა ქართული კულტურული სამყაროსაგან ჩამოცილებასა და მათ რუსულ წიგნიერებასთან ინტეგრირებას[1]. ამავე დროს, რუსულმა იმპერიულ-იდეოლოგიურმა მანქანამ ე.წ. «ისტორიოგრაფიული ფრონტიც» აამოქმედა. 1907 წელს გამოქვეყნდა წიგნი გამომწვევი სახელწოდებით *Абхазия – не Грузия*, რომელსაც ვინმე ლ. ვორონოვს მიაწერენ[2].

XX ს. 20-იან წლებში ეს ფორმულა უკვე ე.წ. «აფხაზური სახალხო ინტელიგენციის» სეპარატისტულად განწყობილმა წრეებმა აიტაცეს. ასე გაჩნდა თავიანთი ანტიქართული სუ-ლისკვეთებით ცნობილ აფხაზ მოღვაწეთა, სიმონ ბასარიასა და სემიონ

---

[1]Петр Услар, *Древнейшие сказания о Кавказе*, Сборник сведений о кавказских горцах, Тифлис, Издательство Кавказское горское управление, XXXVII, 1881; Джемал Гамахария, Бадри Гогия, *Абхазия–историческая область Грузии*. Тбилиси, Издательство «Агдгома», 1997, გვ. 353.

[2][Л. Воронов], *Абхазия–не Грузия*, Москва, Книгоиздательство «Верность»,1907.

აშხაცავას პროგრამული ნაშრომები აფხაზეთის ისტორიულ წარსულზე, რომლებიც ბოლშევიკური აფხაზეთის «სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის» ისტორიულ დასაბუთებად აღიქმებოდა[1]. XX ს. 50-იანი წლებიდან სსრკ-ში შექმნილმა პოლიტიკურ-იდეოლოგიურმა კონიუნქტურამ ნოყიერი ნიადაგი შექმნა აფხაზეთში სეპარატისტული იდეოლოგიის რეანიმაციისათვის. ამ დროიდან დღის წესრიგში კვლავ დადგა აფხაზთა «ნაციონალური» (არაქართული) ისტორიის შექმნის საკითხი. თუმცა, პირველ ეტაპზე ეს მიზანი ვერ იქნა მიღწეული. აფხაზ და ქართველ ისტორიკოსთა მიერ მომზადებული *აფხაზეთის ისტორიის ნარკვევების* ორტომეულში, რომელიც გამოიცა 1960-1964 წლებში გამოჩენილი აფხაზი ისტორიკოსის, გიორგი ძიძარიას რედაქტორობით[2], აფხაზეთის ისტორიული წარსული გაშუქებული იყო საერთო-ქართული ისტორიის ჭრილში.

მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ XX ს. 60-80-იან წლებში მცდელობები, ჩამოეცილებინათ აფხაზეთი და აფხაზობა საერთო-ქართული სამყაროსაგან ისტორიულად, არ წყდებოდა. ამ მხრივ საგანგებოდ უნდა აღვნიშნოთ: შალვა ინალ-იფას[3], რაულ ხონელიას[4], მიხეილ გუნბას[1], იური ვორონოვისა[2]და

---

[1]Симон Басария, *Абхазия в географическом, этнографическом и экономическом отношении*, Издательство Наркомпроса ССР Абхазии, Сухум-Кале, 1923; Семен Ашхацава, *Пути развития абхазской истории,* Издание Наркомпроса Абхазии, 1925.

[2]Гиоргий Дзидзариа (ред.), *Очерки истории Абхазской АССР*, т. I, Сухуми, Издательство «Абгосиздат», 1960; т. II, Тбилиси, Издательство «Мецниереба»,1964.

[3]Шалва Инал-ипа, *Вопросы этно-культурной истории абхазов*, Сухуми, Издательство «Алашара»,1976.

[4]Рауль Хонелия, *Некоторые вопросы политической истории Абхазии VI-VIII вв.* по *данным армянских источников*, Сборник научных работ аспирантов Абхазского институт аязыка, литературы и истории, Сухуми, Издательство «Алашара»,1967; Рауль Хонелия, *Политические взаимоотношения Абхазского царства и царства армянских Багратидов в IX-Хвв*, Автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата исторических наук, Ереван, Издательство Академии Наук Армянской ССР, 1967.

სხვა მკვლევართა პუბლიკაციები. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით სავალალო ვითარებაა დღეს, როდესაც სეპარატისტული რეჟიმი აფხაზეთში აღვივებს ყოველგვარ ზღვარს გადაცილებულ ანტიქართულ ისტერიას, რომლის ცენტრალურ რგოლს წარმოადგენს «ნაციონალისტურ-ისტორიოგრაფიული» პროპაგანდა. ასპარეზზე გამოვიდნენ ისტორიული «მეცნიერების» ახალი «კორიფეები», რომლებიც თანამემამულეებს სთავაზობენ ჭეშმარიტად ფანტასტიკურ «აღმოჩენებს». ამ მხრივ რად ღირს თუნდაც იგორ მარხულიას (მარიხუბა)[3], ალექსეი პაპასკირის[4], დენის ჩაჩხალიას[5] ისტორიოგრაფიული «შედევრები». სამწუხაროდ, ამ სრულიად გონებადაბინდულ, უვიც და გათავხედებულ დილეტანტებს, რომლებიც ისტორიკოსობას ჩემულობენ, ბევრად არც პროფესიონალი ისტორიკოს-არქეოლოგები ჩამორჩებიან, რისი დადასტურებაა თუნდაც იმავე იური ვორონოვის ცნობილი «პასკვილი[6],» და განსა-

---

[1]Михаил Гунба, Абхазия в первом тысячелетиин. Социально-экономические и политические отношения, Сухуми, Издательство «Алашара», 1989.

[2]Юрий Воронов, *В мире архитектурных памятников Абхазии*, Москва, Издательство «Искусство»,1978.

[3]Игорь Марыхуба, *Кавказ не был первоначальной родиной грузинского народа,* Академия наук Республики Абхазии. Абхазский институт гуманитарных исследований им. Д. И. Гулиа, Акуа (Сухум), 1999.

[4]Алексей Папаскир, *Обезы в древнерусской литературе и проблемы истории Абхазии*, Сухум, Издательство «Дом печати», 2005; Алексей Папаскир, *Баграт III и Абхазское царство*, Сухум, Абхазский государственный университет, 2003.

[5]Денис Чачхалиа *Хроника абхазских царей*. Московский исследовательский центр абхазоведения, Москва, 2000, http://apsnyteka.org/255-chachhalia_d_1.html#6, ნახ. 17 ოქტომბერი, 2015 წ.; Денис Чачхалиа, *Абхазская школа византийской архитектуры (к вопросу о принципах абхазского храмостроения в IX-XIII вв.)*, Академия наук Республики Абхазии. Сухум, Абхазский институт гуманитарных исследований, 2011,http://apsnyteka.org/257-chachhalia_d_3.html, ნახ. 17 ოქტომბერი, 2015 წ.

[6]Юрий Воронов, *Абхазы – кто они?* Малое предприятие «Адырра», Гагра, 1992. აღნიშნულ პუბლიკაციაში გადმოფრქვეული «სიბრძნეების» შესახებ იხ. ზურაბ პაპასქირი, «*უმეცრობის ფართი-ფურთი», ანუ ცნობილი ფალსიფიკატორის მორიგი გამოხდომა,* წგნ. ზურაბ პაპასქირი, *აფხაზეთი საქართველოა,* თბილისი, გამომც. «აღმაშენებელი», 1998, გვ. 76-107; Зураб Папаскири, «Парад невежества.

კუთრებით ოლეგ ბღაჟბასა და სტანისლავ ლაკობას მიერ მომზადებული აფხაზეთის ისტორიის ე.წ. «დამხმარე სახელმძღვანელო[1]» და ა.შ.

საქართველო-აფხაზეთის ისტორიაში არის რამდენიმე პრობლემა, რომლის სეპარატისტული ხედვა მეცნიერული თვალსაზრისით ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს და რეალურად მხოლოდ ე.წ. «დამოუკიდებელი» აფხაზური სახელმწიფოს არსებობის ისტორიოგრაფიული საფუძველების შექმნის უბადრუკ მცდელობას წარმოადგენს. პირველ რიგში, ესაა აფხაზთა ეთნოგენეზისისა და თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე მათი განსახლების თემა. აფხაზ ნაციონალისტთა ვერსიით, დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიის უძველეს აბორიგენ მოსახლეობად მიჩნეულია აფხაზურ-ადიღეური მოდგმის აფსუა-აფხაზები და მთლიანად გამოირიცხება ამ რეგიონში ქართველურ ტომთა განსახლება თითქმის XIX საუკუნემდე. აქედან გამომდინარე, ამჟამინდელი აფხაზეთის ტერიტორია ცხადდება მხოლოდ და მხოლოდ აფხაზ-აფსუათა სამშობ-

---

Или очередной вымысел известного фальсификатора», წგნ. ზურაბ პაპასქირი, *და აღმოცისკრდა საქართველო ნიკოფსიიდან დარუბანდამდე,* თბილისი, გამომც.: «მერიდიანი». 2009, გვ. 224-246, http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/29982/4/NikopsiidanDarubandamde.pdf, ნახ. 17 ოქტომბერი, 2015 წ.; იგივე პუბლიკაცია იხ.: Зураб Папаскири, *Моя Абхазия. Воспоминания и размышления*, Тбилиси, Издательство «Меридиани», 2012, გვ. 241-264, http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/29851/1/Moia_Abxazia.pdf, ნახ. 17 ოქტომბერი, 2015 წ.

[1]Олег Бгажба, Станислав Лакоба, *История Абхазии. С древнейших времён до наших дней*. 10-11 классы, Сухуми, Отпечатано с диапозитивов фирмой «Алашарбага», 2006. იგივე ნაშრომი გამოიცა 2007 წელსაც (იხ.: Олег Бгажба, Станислав Лакоба, *История Абхазии. С древнейших времён до наших дней*, Сухуми, 2007). ამ პუბლიკაციების კრიტიკა იხ.: ზურაბ პაპასქირი, «ცრუ ისტორია. შენიშვნები ოლეგ ბღაჟბას და სტანისლავ ლაკობას 'აფხაზეთის ისტორიის' სახელმძღვანელოზე», აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის შრომა თაკრებული. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სერია, თბილისი, გამომც. `მერიდიანი', 2010, http://iberiana.wordpress.com/afxazeti/papaskiri-recenzia/, ნახ. 17 ოქტომბერი, 2015 წ.; Зураб Папаскири, «Так не пишется история. Некоторые замечания по поводу т.н. «учебника» Истории Абхазии О. Х. Бгажбаи, С. З. Лакоба», წგნ.: Зураб Папаскири, *Моя Абхазия..., op. cit.,*გვ. 321-362.

ლოდ, რაც თითქოს მათ აძლევს მონოპოლიურ უფლებას ერთპიროვნულად გადაწყვიტონ აფხაზეთის სახელმწიფოებრივი სტატუსი.

არანაკლები სპეკულირება მიდის ე.წ. «აფხაზთა» სამეფოს თემითაც. სახელწოდებიდან გამომდინარე, რომელიც, როგორც ცნობილია, ამ სახელმწიფოებრივი გაერთიანების საფუძვლის ჩამყრელ «აფხაზეთის ერისთავის», ლეონ II-ის ეთნო-ტომობრივი წარმომავლობიდან იღებს სათავეს, სეპარატისტები ყოველნაირად ცდილობენ, გაასაღონ ეს წმინდა წყლის ქართული პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი აფხაზ-აფსუათა ნაციონალურ სახელმწიფოდ[1]. ასევე სახელწოდების უკრიტიკო გაგება უდევს საფუძვლად სეპარატისტთა სრულიად დაუსაბუთებელ მტკიცებას, თითქოს ე.წ. «აფხაზეთის» საკათალიკოსო წარმოადგენდეს არა ქართულ, არამედ საკუთრივ «აფხაზურ ნაციონალურ საეკლესიო ორგანიზაციას.»

რასაკვირველია, სეპარატისტულად განწყობილ აფხაზ მკვლევარ-ისტორიკოსთა, თუ სასულიერო პირთა ეს დასკვნა იმდე-

---

[1]«აფხაზთა» სამეფოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იერსახის სეპარატისტული ხედვის კრიტიკა იხ.: ზურაბ პაპასქირი,.«'აფხაზთა' სამეფოს ეთნო-კულტურული და პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი იერსახის სეპარატისტული ხედვის კრიტიკისათვის», *ქართველოლოგიის აქტუალური პრობლემები* I, თბილისი, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი, 2012, გვ. 155-172, http://sangu.ge/images/zpapaskiri.pdf, ნახ. 17 მაისი, 2015; ზურაბ პაპასქირი, «'აფხაზთა' სამეფოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იერსახის საკითხისათვის», კრებ.: *გივი წულაია – 80*, თბილისი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, 2014, გვ. 151-186; Зураб Папаскири, «'Абхазское' царство – грузинское государство», *საისტორიო ძიებანი*, VIII-IX, წელიწდეული. ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოების აფხაზეთის ორგანიზაცია, თბილისი, გამომც. «მერიდიანი», 2006, გვ. 68-106, http://iberiana2.wordpress.com/abkhazia/papaskiri/, ნახ. 11სექტემბერი, 201511; Зураб Папаскири, «Абхазия.История без фальсификации», Издание второе, исправленное и дополненное, Тбилиси, Издательство «Меридиани», 2010, გვ. 26-51 http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/29865/1/AbkhaziaIstoriaBezFalsifikacii.pdf, ნახ. 12 მაისი, 2015წ.

ნად უსუსური და მარგინალურია, რომ, ერთი შეხედვით, მასზე საგანგებოდ ყურადღების გამახვილება შეიძლება სრულიად ზედმეტიც იყოს, მაგრამ არც ისე მარტივადაა საქმე. ბოლო დროს ოკუპირებული აფხაზეთის საეკლესიო ცხოვრებაში განვითარებულმა დესტრუქციულმა პროცესებმა, კერძოდ კი, დედა ეკლესიისაგან განდგომილი აფხაზი სამღვდელოების ყოველგვარ ზღვარს გადასულმა, ანტიკანონიკურმა ქმედებებმა, რომელთა მიზანია საქართველოს სამოციქულო ეკლესიისაგან ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის საბოლოოდ ჩამოშორება და ე.წ. «აფხაზეთის დამოუკიდებელი» ეკლესიის «დაკანონება», კვლავ გახადა აქტუალური «აფხაზეთის» საკათალიკოსოდ წოდებული საეკლესიოო რგანიზაციის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი კუთვნილების საკითხი. ამ თემის წინ წამოწევა განპირობებულია იმ გარემოებებით, რომ სეპარატისტებს უმთავრეს ისტორიოგრაფიულ არგუმენტად სწორედ «აფხაზეთის» საკათალიკოსოს – ვითომ აფხაზური ნაციონალური საეკლესიო ორგანიზაციის – არსებობა მოაქვთ.

მითები ე.წ. «აფხაზეთის» საკათალიკოსოსა და აფხაზური «ნაციონალური» ქრისტიანული სამყაროს შესახებ

სანამ კონკრეტულად «აფხაზეთის» საკათალიკოსოს წარმოქმნისა და ფუნქციონირების ეტაპებს მიმოვიხილავდეთ, მიზანშეწონილად მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ ეს არაა პირველი მცდელობა აფხაზთა მხრიდან საეკლესიო სფეროში ამგვარი სეპარატისტული დემარშისა. პირველად ეს მოხდა აფხაზური სეპარატისტული მოძრაობის გარიჟრაჟზე – 1917 წ. მარტში, როდესაც საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ აფხაზი «სახალხო ინტელიგენციის» წარმომადგენლები შეეცადნენ აფხაზეთის ჩამოცილებას დედა ეკლესიისაგან. ამ მიზნით 24-27 მაისს სოხუმში მოწვეულ იქნა ე.წ. «აფხაზური მართლმადიდებლური მოსახლეობის სასულიერო და არჩეულ საერო პირთა ყრილობა», რომელზეც დააყენეს აფხაზეთის ავტოკეფალური ეკლესიის შექმნის საკითხი. შემზადდა ერთგვარი «ისტორიოგრაფიული» საფუძველი, რომელიც

მოცემული იყო მიხეილ ტარნავას ბრშურაში *აფხაზეთის ეკლესიის ისტორიის მოკლე ნარკვევი*[1].

სწორედ ამ ოპუსში იყო უბადრუკი მცდელობა, «აფხაზეთის» საკათალიკოსო წარმოეჩინათ, როგორც საკუთრივ აფხაზურ-აფსუური ნაციონალური საეკლესიო ორგანიზაცია, რომლის სამართალმემკვიდრე უნდა ყოფილიყო საერთო-ქართული ეკლესიისაგან მოწყვეტილი «აფხაზეთის ავტოკეფალური ეკლესია». ამასთან, ბროშურის ავტორმა გვერდი აუარა ე.წ. «აფხაზეთის» ქართველი კათალიკოსების (სულ 17 იერარქი) ეროვნული კუთვნილების დაზუსტებას და ისეთი შთაბეჭდილება შექმნა თითქოს ისინი ეთნიკური აფხაზები ყოფილიყვნენ[2]. მიხეილ ტარნავას ამ სიყალბის რეანიმაციას ცდილობენ დღეს სეპარატისტული რეჟიმის მესვეურები[3], «აფხაზური ნაციონალური ეკლესიის» მამები[4], ცალკეული ისტორიკოსები და ისტორიულ

---

[1]Михаил Тарнава, *Краткий очерк истории Абхазской церкви*, Сухум, Издание Бзыбского Комитета Общества распространения просвещения среди Абхазцев, 1917, http://anyha.org/apsua-anyha-atouryxiaazyrkjatshny/, ნახ. 15 ოქტომბერი, 2015 წ.

[2]Михаил Тарнава, *op. cit.,*გვ. 13-14. დაახლოებით ამავე სტილში «აფხაზეთის» კათალიკოსების ქართველობის მიჩქმალვას ცდილობ სთანამედროვე აფხაზი მკვლევარი ერმოლაი აჯინჯალიც. იხ.: Ермолай Аджинджал, *Из истории христианства в Абхазии*, Сухум, Издательство «Стратофил», 2000, გვ. 111-135, https://yadi.sk/i/D2yQ9Ii3baRmg, ნახ. 13 ოქტომბერი, 2015 წ.

[3]*Глава МИД Абхазии: Пока Илия II считает нашу страну частью Грузии, ему сюда дорога отказана*, Информационное агентство «Новости федерации», 16.06.2009, http://regions.ru/news/2221224/, ნახ. 13 ოქტომბერი, 2015 წ.

[4]მათ შორის განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ 2011 წელს შექმნილი ე.წ. «აფხაზეთის წმინდა სამიტროპოლიტოს» მესვეურის («სამიტროპოლიტოს» საბჭოს თავმჯდომარის), მოსკოვის სასულიერო აკადემიის თეოლოგიის კანდიდატისა და სალონიკის არისტოტელეს უნივერსიტეტის თეოლოგიის დოქტორის სამეცნიერო ხარისხებით აღჭურვილი დოროთეოს (დიმიტრი) დბარის ნაშრომები. იხ.: Дмитрий Дбар, «Из истории Абхазского Католикосата, Духовный мир», *Сборник работ учащихся Московских духовных школ,*. Московская Духовная Академия, Сергиев Посад, nº4, 1997, გვ. 68-90, http://apsnyteka.org/1602-dbar_iz_istorii_abkhazskogo_katholikosata.html, ნახ. 13 ოქტომბერი, 2015 წ; Дмитрий Дбар, «Религиозные тенденции в современной Абхазии», Сборник статей, Москва, Издание Православного братства святого апостола Симона Кананита, 1999, https://

მეცნიერებას[1] მიტმასნებული მწერალ-ფილოლოგები[2].

რას არ იგონებენ ჩვენი ბედოვლათი ოპონენტები იმისათვის, რომ დააჯერონ თავიანთი, ისედაც სრულ ისტორიოგრაფიულ ბურანში მყოფი, ნაციონალისტურ-შოვინისტურ ჭაობში მთლიანად ჩაფლული გასაცოდავებული თანამემამულენი მითიური აფხაზური «ნაციონალური» ქრისტიანული სამყაროს არსებობაში, რომლის მედროშეც თითქოს იყო «აფხაზეთის» საკათალიკოსოდ წოდებული საეკლესიო ორგანიზაცია. მაგალითად, ამ ბოლო დროს აბსოლუტურად დაუსაბუთებლად ხდება ტირაჟი-

---

docviewer.yandex.com/?url=ya-disk-public%3A%2F%2FtSMvlavesSIlySMrwsWBZtrVfeS4NsNK6QZFns8%2Bpz4%3D&name=Dbar_Religioznye_tendentsii_v_sovremennoy_Abkhazii.pdf&c=56178ac8dd27, ნახ. 13 ოქტომბერი, 2015 წ; Дмитрий Дбар, *Была ли Абхазская Церковь автокефальной?* http://batal.livejournal.com/564322.html, ნახ. 13 მაისი, 2015 წ; Дмитрий Дбар, *История христианства в Абхазии в первом тысячелетии*, Диссертация на соискание ученой степени кандидата богословия. Московская Духовная Академия, Сергиев Посад. Свято-Троице-Сергиева Лавра, 2001, http://www.caucasustimes.com/DbarD.pdf, ნახ 13 მასი, 2015 წ. ცალკე წიგნად გამოიცა 2005 წელს. იხ.: Дмитрий Дбар, *История христианства в Абхазии в первом тысячелетии*, Новый Афон, Издательство «Стратофил», 2005, http://www.slideshare.net/anyhaorg/ss-42509456, ნახ. ნახ 13 მასი, 2015 წ; Дмитрий Дбар, *Краткий очерк истории Абхазской Православной Церкви.* Издание третье, исправленное и дополненное. Новый Афон, Издательство «Стратофил». 2006, https://yadi.sk/i/jV4vcx65bUnxy, ნახ. 13 ოქტომბერი, 2015 წ.

[1] Григорий Смыр,*Эволюция религиозных верований у Абхазов*, Автореферат диссертации на соискание учёной степени доктора исторических наук. Институт этнологии и антропологии имени Н. Н. Миклухо-Маклая РАН, Москва, 1997, http://cheloveknauka.com/evolyutsiya-religioznyh-verovaniy-u-abhazov, ნახ. 12 მაისი, 2015 წ; Анжела Багателия, *Православие в Абхазии: Основные этапы истории и национально-культурные особенности*. Автореферат диссертации на соискание учёной степени кандидата исторических наук, *Российская академия государственной службы при Президенте Российской Федерации*, Москва, 2002, http://www.dissercat.com/content/pravoslavie-v-abkhazii-osnovnye-etapy-istorii-i-natsionalno- kulturnye-osobennosti, ნახ. 15 ოქტომბერი, 2015 წ; და ა.შ.

[2]ამ მხრივ, პირველ რიგში უნდა დავასახელოთ ზემოთ ნახსენები დენის ჩაჩხალია. იხ.: Денис Чачхалиа, *Абхазская Православная Церковь (Хроника. Прибавления*), Москва-Сухуми, МАААН (Международная Ассоциация Абхазо-Абазинского народа), 1997.

რება თვალსაზრისისა, თითქოს აფხაზეთის ეკლესიას იმთავითვე უძღვებოდნენ ეთნიკურად აფხაზი ეპისკოპოსები და სამღვდელოების უმრავლესობასაც აფხაზები შეადგენდნენ, რომლებიც ღვთისმსახურებას თურმე აფხაზურ ენაზე ეწეოდნენ[1].

ამ თეზისის ყველაზე აქტიურ პროპაგანდისტად გვევლინება ე.წ. «აფხაზეთის წმინდა სამიტროპოლიტოს» მეთაური, თეოლოგი და ისტორიკოსი, დიმიტრი დბარი. აღნიშნული დებულების «უტყუარ» არგუმენტად მას მოაქვს ცნობილი პასაჟი სლავთა განმანათლებლის *კონსტანტინე-კირილეს ცხოვრებიდან,* რომელშიც იმ ხალხებს შორის, ვინც ღვთისმსახურებას თავიანთ ენაზე ეწევიან, მოხსენიებულია «ავაზგებიც» (ანუ აფხაზები)[2]. ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ ეს არის ძალზე მიამიტური (რბილად ნათქვამია) გაგება კონსტანტინე ფილოსოფოსის ცნობისა. რასაკვირველია, იმდროინდელ (X საუკუნიდან მაინც) ავაზგ-აფხაზებში ნამდვილად მიმდინარეობდა წირვა-ლოცვა «თავიანთ ენაზე», მაგრამ მაგრამ ეს ენა იყო ქართული და არა თანამედროვე აფხაზური (აფსუური). სხვათაშორის, ეს შესანიშნავად ესმის თვით *კონსტანტინეს ცხოვრების* გამომცემელს, გამოჩენილ რუს მეცნიერს, ძველი სლავური წერილობითი ძეგლებისა და ზოგადად,

---

[1]Денис Чачхалия, *Абхазская Православная Церковь..op. cit.*; Дмитрий Дбар, «Из истории Абхазского католикосата...», *op. cit.*; Григорий Смыр, *Эволюция религиозных верований у Абхазов, op. cit.*; Георгий Амичба, *Средневековый период (IV-XVIII вв.)*, *Абхазы*, Москва, Издательство «Наука», 2007, გვ. 68, 71.

[2]«Мы же роды знаемъ книгы умеюще и Богу славу въздающе своимъ езыкомъ къждо. яве же сутъ сии: армени, перси, **авазгы,** ивери, сугди, готи, обри, турси, козари, аравляне, египти и инии мнозы». (*Паметъ и житие блаженаго учителя нашего Константина Философа, пръваго наставника словенску узыку*. –http://krotov.info/acts/09/3/konstan.html, ნახ. 10ოქტომბერი, 2015 წ. აღსანიშნავია, რომ ცალკეული აფხაზი მკვლევრები ადრეც ეწეოდნენ სპეკულაციას *კონსტანტინე ფილოსოფოსის ცხოვრების* ამ ცნობით და იყენებდნენ მას იმის საბუთად, რომ შუა საუკუნეებში თანამედროვე აფხაზთა წინაპრებს თითქოს საკუთარ (აფსუურ) ენაზე ჰქონდათ საეკლესიო ღვთისმსახურება (Алексей Папаскир, *Проблемы изучения русско-абхазских литературных и культурных связей*, Труды Абхазского государственного университета, т. VI, Сухуми, Издательство «Алашара», 1988).

სლავი ხალხების ისტორიის აღიარებულ მკვლევარს, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, ბორის ფლორიას. მისი სავსებით მართებული განმარტებით,

> აფხაზებს არ ჰქონდათ საკუთარი ანბანი და კონსტანტინემ ისინი შეცდომით მოათავსა თავის ჩამონათვალში... **ღვთისმსახურება აფხაზებში აღისრულებოდა ქართულე ნაზე. კონსტანტინემ არ იცოდა რა კავკასიის ენები, შეეძლო ეფიქრა, რომ აფხაზები,** რომელთაც, ალბათ, ის შეხვდა ხაზარეთში მოგზაურობისას, თავიანთ ენაზე ეწეოდნენ ღვთის-მსახურებას[1].

სრულიად უსუსურია დიმიტრი დბარის მცდელობა თავისი დასკვნა შეამაგროს იმ გარემოებით, რომ ქრისტიანობის გავრცელება იწვევდა სახარების თარგმნის აუცილებლობას, რის გამოც ესა თუ ის ხალხი ქმნიდა დამწერლობას. აფხაზი მეცნიერის ეს მიდგომა ზოგადად ნამდვილად სწორია, თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ უკლებლივ ყველა ეთნოსმა (მათ შორის იმათაც, ვინც უძველესი დროიდან ეზიარნენ ქრისტიანობას), მაინც და მაინც შექმნა საკუთარი დამწერლობა, თარგმნა სახარება და შეუდგა ღვთისმსახურებას მშობლიურე ნაზე. მაგალითისათვის შორს წასვლა არ დაგვჭირდება. «აფხაზთა» სამეფოს წარმოქმნამდე დასავლეთ საქართველოში არსებობდა არანაკლებ ძლიერი

---

[1] «*С путешествием Константина в Хазарию связано, вероятно, и упоминание в его перечне абхазов («авазги» оригинала).* ***Абхазы не имели собственной азбуки, и Константин ошибочно включил их в свой перечень, но причиной ошибки было то, что богослужение у абхазов совершалось на грузинском языке. Не зная кавказских языков, Константин,*** *который, вероятно, столкнулся с абхазами во время путешествия в Хазарию,* ***мог решить, что они совершают богослужение на собственном языке***» (*Пространни жития на Кирил и Методий*; Сказания о начале славянской письменности. Вступительная статья, перевод и комментарии **Бориса Флори** (**Борис Флоря**), Москва, 1981, გვ. 136.
http://www.inslav.ru/images/stories/pdf/1981_Skazanija_o_nachale_slavjanskoj_pismennosti.pdf, ნახ. 11 ოქტომბერი, 2015 წ. [ხაზგასმა ჩვენია]. ამის შესახებ იხ. აგრეთვე: Зураб Папаскири, «Об одном заблуждении Дорофея (Дбар)», წგნ.: Зураб Папаскири, *МояАбхазия..*, *op. cit.,* გვ. 482-486; როინ მეტრეველი, ზურაბ პაპასქირი, *საქართველო და ძველი რუსეთი IX-XI საუკუნეების I მესამედი,* ქართული დიპლომატია, წელიწდეული, XIV, თბილისი, 2011, გვ. 61-62.

სახელმწიფოებრივი გაერთიანება – ლაზიკა-ეგრისის სამეფო, რომელიც მოიცავდა თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიასაც. დანამდვილებით ცნობილია, რომ ეს სახელმწიფო მთელი თავისი არსებობის მანძილზე ეკლესიურად კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს იურისდიქციის ქვეშ იყო და აქ ღვთისმსახურება ბერძნულ ენაზე აღესრულებოდა[1]. განა რომელიმე სრულ ჭკუაზე მყოფ ადამიანს შეუძლია თავში მოუვიდეს, რომ ლაზიკა-ეგრისში, რომლის ძირითად მოსახლეობას შეადგენდნენ ლაზ-მეგრელები და სხვა ქართველური ტომები, ოდესმე ღვთისმსახურების ენა მეგრული ყოფილიყო[2]. ისმის რიტორიკული კითხვა, როგორ მოხდა, რომ ლაზ-მეგრელებმა თავიანთი ფაზისის სამიტროპოლიტოთი (რეალურად არსებულით და არა დ. დბარის მიერ მოგონილი ე.წ. «ანაკოფიის სამიტროპოლიტოს» ტიპის), რომელშიც შედიოდა მინიმუმ 4 ეპარქია[3], ვერ შეძლო სა-

---

[1]ჩვენი აზრით,სრულიად დაუსაბუთებელია ცალკეული მკვლევრების (პირველ რიგში, მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძის) მტკიცება, თითქოს დასავლეთი საქართველო თავიდანვე (ლაზიკა-ეგრისის სამეფოს არსებიობის პერიოდში) შედიოდა ქართლის (მცხეთის) საკათალიკოსოს იურიდიქციაში და აქ ღვთისმსხურების ენა არა ბერძნული, არამედ იმთავითვე ქართული იყო. იხ.: მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, *აფხაზეთის საკათალიკოსო.* თბილისი, საგამომცემლო სახლი «ტექნიკურიუნივერსიტეტი», 2012.

[2]ჩვენ, რასაკვირველია, მხედველობაში არ გვყავს ზოგიერთი «ინტელექტუალი-მეგრელოლოგი», რომელთაც ქართული ასომთავრული, არც მეტი არც ნაკლები, მეგრულ დამწერლობად მიაჩნია (იხ.: *Крах мифа о возможном сепаратизме в Самегрело*, https://www.youtube.com/watch?v=UojelNGWUPM), ნახ. 15ოქტომბერი, 2015 წ.

[3]ფაზისის სამიტროპოლიტო თავისი 4 (როდოპოლისის, საისი-ცაიშის, პეტრას, ზიგანევის) ეპარქიით ფაქტობრივად მოიცავდა მთელ დასავლეთ საქართველოს დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე განლაგებული (სებასტოპოლისი-აბაზგიისა და ნიკოფსიის) საარქიეპისკოპოსოების გამოკლებით. *გეორგიკა*, ტ. IV, ნაწ. II. ბიზანტიელ მწერალთა ცნობები საქართველოს შესახებ, ბერძნული ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა. თბილისი, 1952, გვ. 180-181. ამის შესახებ დაწვრილ. იხ.: ბუბა კუდავა, *კონსტანტინოპოლის საპატრიარქო და დასავლეთ საქართველოს საეკლესიო ცენტრები (IX ს.)*, ისტორიანი, სამეცნიერო კრებული, მიძღვნილი როინ მეტრეველის დაბადების 60 წლისთავისადმი, თბილისი, გამომც. «არტანუჯი». 2000, გვ. 43-48; თამარ ქორიძე, *აფხაზეთის საკათოლიკოსოს ის-*

კუთარი მეგრული ეროვნული დამწერლობისა და წიგნიერე-ბის შექმნა, ხოლო «ძველმა ქრისტიანმა აფხაზმა ხალხმა» უცი-ლობლად მოახერხა ეს და ჯერ კიდევ თავისი ისტორიის ადრე-ულე ტაპზე ღვთისმსახურების ენად აფხაზური (აფსუური) აქ-ცია[1]?!

ერთი წუთითაც რომ დავუშვათ, რომ «აფხაზთა» სამეფოში – აფხაზი ავტორების აზრით, აფხაზურ «ნაციონალურ» სახელ-მწიფოში – ღვთისმსახურება აფხაზურ-აფსუურ ენაზე სრულ-დებოდა, რაც სრულიად წარმოუდგენელია, რას უნდა შეეფერ-ხებინა ის «აფხაზ» მეფეთა შემდგომი გაძლიერების ხანაში?! ან რანაირად უნდა მოშლილიყო ერთბაშად აფხაზური წიგნიერე-ბა და ღვთისმსახურება ბაგრატ ბაგრატიონის ქუთაისის სამე-ფო ტახტზე ასვლის შემდეგ – განა ის ვინმე «უცხო» იყო და არა ყველაზე ძლევამოსილი «აფხაზი» მეფის, გიორგი II-ის /922-957/ ღვიძლი შვილიშვილი?!^ ან სად უნდა გამქრალიყო უც-ბად ასე უკვალოდ «აფხაზური დამწერლობა», რომელსაც, ზო-გიერთი ანტიქართულად განწყობილი ყოვლისმცოდნე რუსი «ინტელექტუალის» მტკიცებით, თითქოს იყენებდნენ ამ «აფ-ხაზურ» სახელმწიფოში საქმის წარმოებასა და ღვთისმსახურე-ბაში[2] და რატომაა, რომ ქართული დამწერლობის ყველაზე ად-

---

ტორია (IX-XVI სს.), ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარის-ხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის ავტორეფერატი, ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2003, გვ. 9-10; ზურაბ პაპასქირი, «'აფხაზთ'ა» საკათალიკოსოს დაწესების ქრონოლო-გიისათვის», შოთა მესხია – 90, საიუბილეო კრებული მიძღვნილი შოთა მესხი-ას 90 წლისთავისადმი, თბილისი, გამომც.: «ნეკერი», 2006, გვ. 207-208; ზურაბ პაპასქირი, «'აფხაზეთის' საკათოლიკოსოს დაარსების თარიღის საკითხისათვის», წგნ.: ზურაბ პაპასქირი, *და აღმოცისკრდა საქართველო ნიკოფსიიდან დარუ-ბანდამდე*, თბილისი, გამომც. «მერიდიანი», 2009, გვ. 178-180.

[1]გაზ.: *Христианская Абхазия*, nº8, Официальное Издание Священной Митропо-лии Абхазии, 2007.

[2]Вадим Кожинов, «Современная жизнь традиций. Размышления об абхазской литературе», *Дружба народов*, nº4, Москва, Издательство «Известия», 1977, გვ. 256-57.

რინდელი (სპეციალისტების მიერ IX-X საუკუნეებით დათარიღებული[1]) ძეგლი დასავლეთ საქართველოში (რომელიც, სხვათაშორის, აფხაზმა მკვლევარმა, ანატოლი კაციამ გამოავლინა) აღმოჩენილია არა სადმე ქართლის მოსაზღვრე მხარეში – იმერეთში, არამედ მაინცდამაინც თანამედროვე აფხაზეთის შუაგულში – გუდაუთის რაიონის სოფ. მსიგხუაში[2]?!

ანუ, თუ აფხაზობა ჯერ კიდევ VI საუკუნიდან ასე ინტენსიურად ეწაფებოდა ქრისტეს მოძღვრებას თავის მშობლიურ ენაზეც კი[3], როგორ მოხდა, რომ, პოლიტიკური აღზევების ფონზე, მან ვერ შეძლო ქრისტიანობის ეროვნულ ნიადაგზე საბოლოოდ მოქცევა, საეკლესიო ღვთისმსახურების აფხაზურ ენაზე გადაყვანა და ეროვნული ქრისტიანული წიგნიერების შექმნა, რაც ადრეულ შუა საუკუნეებში მოახერხეს ქართველებმა, სომხებმა, სლავებმა და ა.შ.? ან რამ აიძულა «აფხაზთა» სამეფოს

---

[1]ვალერი სილოგავა, *ქართული ლაპიდარული წარწერების კორპუსი*, II, დასავლეთ საქართველოს წარწერები. ნაკვ. I (IX-XIIIსს.), თბილისი, გამომც. «მეცნიერება», 1980, გვ. 31-32; ვალერი სილოგავა,*აფხაზეთისა და სამეგრელოს ეპიგრაფიკა*, თბილისი, გამომც. «არტანუჯი», 2004, გვ. 258-259; Лия Ахаладзе,*Эпиграфические памятники Абхазии*, Разыскания по истории Абхазии/Грузии, Тбилиси, Издательство «Мецниереба»,1999, გვ. 364; ლია ახალაძე, «აფხაზეთის ეპიგრაფიკა როგორც საისტორიო წყარო», I. *ლაპიდარული და ფრესკული წარწერები*, თბილისი, გამომც. «ლეგა». 2005, გვ. 140-146.

[2]Анатолий Кация, *Памятники архитектуры в долине Цкуара*, Материалы по археологии Абхазии, Тбилиси, Издательство «Мецниереба», 1967.

[3]აფხაზეთის ისტორიის ზემოთ დასახელებულ «დამხმარე სახელმძღვანელოში», რომლის ავტორები არიან ო. ბღაჟბა და ს. ლაკობა, განვითარებული თვალსაზრისით, აფხაზების გაქრისტიანების პროცესს, რომელიც VI ს. შუა ხანებისათვის დასრულდა, ხელი შეუწყო ენობრივი ბარიერის შესუსტებამ, ვინაიდან ამ პერიოდში თურმე *«ადგილობრივ მოსახლეობაში ბევრნი შესანიშნავად მეტყველებდნენ ბერძნულად» («среди местного населения ... многие прекрасно изияснялись ... по гречески»)*. უფრო მეტიც, ავტორთ ააზრით, ამ პროცესს აჩქარებდა ისიც, რომ ამ დროს, მართალია, არა ღვთისმსახურება, მაგრამ«***ქადაგება შეიძლება მიმდინარეობდა აფხაზურადაც***»/«***проповедь могли проводить и на абхазском***» (Бгажба,. Лакоба, *История Абхазии..*, *op. cit.,* 2006, გვ. 115, [ხაზგასმა ჩვენია]).

მესვეურები, რომლებმაც იმთავითვე განაცხადეს პრეტენზია საერთო-ქართულ სამყაროში პოლიტიკურ ჰეგემონობაზე, თავიანთი «აფხაზური ნაციონალური სახელმწიფოს» ოფიციალური საქმის წარმოებისა და ქრისტიანული ღვთისმსახურების ენად მაიმცდამაინც ქართული ექციათ?

ამ კითხვებზე ჩვენს ოპონენტებს რაიმე მეცნიერულ ანალიზზე და ელემენტარულ ლოგიკაზე დამყარებული პასუხი, ბუნებრივია, არა აქვთ და არც შეიძლება ჰქონდეთ. თანაც, ეს საკითხი დიდი ხანია გადაწყვეტილია ისტორიოგრაფიაში და, რაც მთავარია, ეს გააკეთა არა სხვა ვინმემ, არამედ თვით ყველაზე ავტორიტეტულმა აფხაზმა ისტორიკოსმა, ზურაბ ანჩაბაძემ, რომელმაც ერთნიშნად მიუთითა იმ ფაქტორებზე, რომლებმაც განაპირობეს ქართული სალიტერატურო ენის გადაქცევა ღვთისმსახურებისა და სახელმწიფო საქმის წარმოების ენად. ზურაბ ანჩაბაძის მართებული დასკვნით, «ქართული ენის საყოველთაო გავრცელება დამწერლობისა და კულტურის ენად» მთელს «აფხაზთა» სამეფოში, გამოწვეული იყო იმ გარემოებით, რომ ამ სახელმწიფოებრივ გაერთიანებაში სწორედ «**ქართველური ელემენტი წარმოადგენდა მოსახლეობის უმრავლესობას**» და მას «**ტერიტორიულადაც უმეტესი და წამყვანი ნაწილი ეკავა**. გარდა ამისა, **ქართველური ელემენტი აღმოჩნდა უფრო განვითარებული** სოციალურ-ეკონომიკური და **კულტურული თვალსაზრისითაც**» ***(«картвельский элемент составлял значительное большинство населения, а также занимал большую и ведущую часть…царства в территориальном отношении.*** *Кроме того,* ***картвельский элемент оказался более развитым*** *в социально-экономическом и* ***культурном отношениях»)***[1].

არანაკლებ ფანტასტიურია სეპარატიზმის იდეოლოგ აფხაზ მწერალ-მეცნიერთა კიდევ ერთი სრულიად დაუსაბუთებელი

[1]Зураб Анчабадзе, *Из истории средневековой Абхазии*, Сухуми, Абхазское государственное издательство, 1959, გვ. 106-107, [ხაზგასმა ჩვენია].

მტკიცება – თითქოს აფხაზებს IX-XIII საუკუნეებში შეექმნათ ქრისტიანული ხუროთმოძღვრების საკუთრივ აფხაზურ-აფსუური «ნაციონალური» სკოლა, რომელიც, ნუ იტყვით და, აგებდა ტაძრებს არა მხოლოდ ამჟამინდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე და საქართველოს სხვა რეგიონებში, არამედ ჩრდილოეთ კავკასიაში და, უფრო მეტიც, მონაწილეობდა ახლად მონათლული ძველი რუსეთის ეკლესიების მშენებლობასა და გაწყობაში(«воздвигала храмы не только в Абхазии, но и на Северном Кавказе, и принимала участие в строительстве и обустройстве храмов новокрещенной и единоверной Руси»)[1].

ამ «გენიალური აღმოჩენის» ავტორის, დენის ჩაჩხალიას – მწერალ-ფილოლოგის, რომელიც, დროდადრო, ისტორიკოსობასაც (ხელოვნებათმცოდნეობასაც) «ითავსებს» – მტკიცებით, «აფხაზი ხუროთმოძღვრების» შემოქმედებაა: ლოოსა და ვესიოლოეს ტაძრები (ამჟამად კრანოდარის მხარეში – რუსე-თის ფედერაცია), ბზიფის ეკლესია და ბიჭვინთის საკათედრო ტაძარი, მსიგხუას, ახალი ათონის სიმონ კანანელის, მოქვის ეკლესიები, აგრეთვე **თვით გელათისა** («Гелатский патриарший храм»**) და მეტეხის ტაძრებიც კი**[2]**.** გარდა ამისა, ქრისტიანული ხუროთმოძღვრების აფხაზურ-აფსუურ «ნაციონალურ» სკოლას განეკუთვნება ისტორიულ ალანიაში (ამჟამად კარაჩაი-ჩერქეზეთში) აგებული არხიზის, შოანასა და სენტის ეკლესიები[3]. რაცშეეხება კიევის რუსეთის ძეგლებს – სოფიის ტაძრები კიევში, ნოვგოროდსა და პოლოცკში, ფერისცვალების ეკლესიას ჩერნიგოვში, – დენის ჩაჩხალიას «პროფესიონალური» დაკვირვებით, მართალია, მათი მოქცევა უშუალოდ «აფხაზური სკოლის» ძეგლებში არ შეიძლება, თუმცა იმის თქმა, რომ ამ ძეგლებში შეიმჩნევა **«აფხაზური სტილისა და არქიტექტურული ფორმების მშენებლობის აფხაზური გამოცდილების კვალი, მეცნიერულად სავსებით დასაშვებია»** («Храмы Киевской

---

[1]Денис Чачхалиа, *Абхазская школа византийской архитектуры.. op. cit.*, გვ. 8.

[2]*Ibid.,* [ხაზგასმა ჩვენია].

[3]*Ibid.*, გვ. 8.

Руси – особенно пятинефные софийские соборы Киева, Новгорода, Полоцка; из трехнефных – Спас Преображения в Чернигове – невозможно прямо включить в группу памятников абхазской школы. Зато **вполне научно говорить о наличии здесь влияния абхазского стиля и абхазского опыта построения архитектурных форм**»)[1].

დენის ჩაჩხალიას ამ «ხელოვნებათმცოდნეობით მიგნებებს», რასაკვირველია, არაფერი აქვს საერთო მეცნიერულ აზრთან და ისინი მთლიანად ანტიქართული სულისკვეთებით პათოლოგიურად შეპყრობილი აფხაზი ნაციონალისტის ფანტაზიებია, ისევე როგორც მსჯელობა ბიზანტიური ქრისტიანული ხუროთმოძ|ღვრების ე.წ. «აფხაზურ-ალანურ სკოლაზე», რომელსაც უაპელაციოდ მიაკუთვნებენ თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებულ ტაძრებს აფხაზეთის ისტორიის ზემოთ დასახელებული «დამხმარე სახელმძღვანელოს» ავტორები[2], რათა რეგიონის მატერიალური კულტურა შუა საკუნეებში მთლიანად მოწყვიტონ დანარჩენ საქართველოს. არადა საკუთრივ აფხაზეთს რომ თავი დავანებოთ, იგივე ალანია-ოსეთი მოფენილია ქართული ქრისტიანული ეკლესია-მონასტრებით, რომელთა უმრავლესობის აგებას თვით ოსები თამარ მეფეს მიაწერენ, თუმცა, როგორც სავსებით სამართლიანად მიუთითებდა, თავის დროზე, ალანია-ოსეთის სიძველეების აღიარებული მკვლევარი ვ. პფაფი, ასეთი რაოდენობის ეკლესია-მონასტერი წარმოუდგენელია, რომ მხოლოდ თამარის მეფობის ჟამს აეგოთ[3].

---

[1]*Ibid.,* [ხაზგასმა ჩვენია].

[2]Олег Бгажба&Станислав Лакоба, *История Абхазии.*., *op.cit.,*გვ. 137, 200.

[3]Вольдемар Пфаф, «Материалы для древней истории Осетии», Сборник сведений кавказских горцев. Вып. IV. Издаваемый с соизволения Его Императорского Высочества Главнокомандующего Кавказской армией при Кавказском горском управлении, Тифлис, 1870, გვ. 31-32.

ისტორიული სიმართლე «აფხაზეთის» საკათალიოკ-ოსოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივ და კულტურულ-იდეოლოგიურ იერსახეზე

შუა საუკუნეებში არავითარი საკუთრივ აფხაზური ნაციონალური ქრისტიანული ცივილიზაცია აფხაზური არქიტექტურული სტილითა და ფრესკული ფერწერით არ არსებობდა. დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორია მთლიანად საერთო-ქართული ქრისტიანული სამყაროს ორგანული ნაწილი იყო, ხოლო ე.წ. «აფხაზეთის» საკათალიკოსო კი, რომლის იურისდიქცია ვრცელდებოდა მთელ დასავლეთ საქართველოზე, ისტორიულად ყოველთვის იყო მხოლოდდამხოლოდ ქართული საეკლესიო ორგანიზაცია. ესაა აქსიომა, რომელსაც ვერაფრით ვერ ითავისებენ აფხაზური სეპარატიზმის იდეოლოგები. თავის დროზე, «აფხაზეთის» საკათალიკოსოს წარმოქმნა განაპირობა დასავლეთ საქართველოს «აფხაზ» მეფეთა მკვეთრად გამოხატულმა ქართულმა პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივმა და იდეოლოგიურ-კულტურულმა მოღვაწეობამ, რომლის საბოლოო მიზანი ქართული ეთნო-კულტურული და პოლიტიკური სამყაროს შეკვრა დ აქუთაისის ტახტის ეგიდით საერთო-ქართული სახელწიფოს შექმნა იყო.

დიახ, ისტორიოგრაფიაში – არა მხოლოდ ქართველ, არამედ უცხოელ (ვლადიმირ მინორსკი, ანატოლი ნოვოსელცევი, ლევ გუმილიოვი, ვლადიმირ კუზნეცოვი, სერგეი არუთიუნოვი)[1] და თვით ყველაზე ავტორიტეტულ აფხაზ მეცნიერთა (ზურაბ ანჩაბაძე დ ასხვ.) შრომებში (გამონაკლისს მხოლოდ ცალკეული სეპარატისტულად განწყობილი აფხაზი მკვლევრები და მათი მოსკოველი თანამოზრე «ექსპერტ-პოლიტიკოსები» წარმოადგენენ) – კარგა ხანია ერთნიშნად და სავსებით დამაჯერებლადაა ნაჩვენები და დასაბუთებული, თუ რატომაა «აფ-

[1]შესაბამისი ლიტერატურა იხ.: ზურაბ პაპასქირი, «'აფხაზთა'სამეფოს…», *op. cit.,* გვ. 151-154.

ხაზთა» სამეფოდ წოდებული გაერთიანება ეროვნულ-სახელმწიფოებრივი დ აკულტურულ-იდეოლოგიური თვალსაზრისით არა საკუთრივ აფხაზური (თანამედროვე გაგებით) არამედ ქართული სახელმწიფო.

«აფხაზთა» სამეფო, როგორც სუვერენული სახელმწიფო, ოფიციალურად გაფორმდა VIII ს. მიწურულს, მას შემდეგ, რაც «აფხაზეთის ერისთავთა» სახლის წარმომადგენელმა ლეონ II-მ, ლეონ I-ის ძმისწულმა, ისარგებლა რა «ბერძენთა მოუძლურებით», განუდგა მათ (ეს მოხდა ხაზართა მხარდაჭერით) «დაიპყრა აფხაზეთი და ეგრისი ვიდრე ლიხამდე» და «სახელიდვა მეფე აფხაზთა». ძველი ქართული საისტორიო ტრადიცია (*მატიანე ქართლისაÁ*) ამ მოვლენას ერთმნიშვნელოვნად უკავშირებს ქართლი-ეგრისის «სამეფო» (სტეფანოზ-არჩილის) სახლში შექმნილ დინასტიურ კრიზისს. *მატი-ანე ქართლისაÁ*-ს ცნობით, ლეონ II-ის მიერ მეფის ტიტულის მიღება განაპირობა იმან, რომ იმ დროისათვის «მიცვალებულ იყო იოვანე და დაბერებულ იყო ჯუანშერი. და შემდგომად ამისსა ჯუანშერიცა მიიცვალა[1].» ანუ ქართული მატიანე, რომელიც წარმოადგენს ამ მოვლენის ამსახველ ერთადერთ წერილობით წყაროს, სრულიად გარკვევით მიანიშნებს ლეონ II-ის, როგორც ერთადერთი ლეგიტიმური დინასტის, გაერთია-ნებული ეგრის-აფხაზეთის ხელისუფლების სათავეში მოსვლის კანონიერებას.

იმის გამო, რომ ლეონ II-მ თავის თავს «აფხაზთა» მეფე უწოდა, მისი სახელმწიფო, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე, განსაკუთრებით, მის ფარგლებს გარეთ, «აფხაზთა» სამეფოს, ან უბრალოდ, «აფხაზეთის» სახელით იყო ცნობილი, თუმცა ზოგიერთ უცხოურ წყაროში (მაგ. X ს. სომეხი ისტორიკოსის იოვანე დრასხანაკერტცის თხზულებაში) «აფხაზთა» მეფე «ეგრისის»

[1] *მატიანე ქართლისა, ქართლის ცხოვრება.* ტ. I. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი, სახელმწიფო გამომცემლობა,1955, გვ. 251.

(«ეგერთა») მეფედაც მოიხსენიება[1], რაც იმის მანიშნებელია, რომ მეზობელ ქვეყნებში იმ პერიოდში საკმაოდ კარგად იყვნენ ინფორმირებულნი იმის შესახებ, თუ რომელ ქვეყანას ეწოდა VIII ს. მიწურულიდან «აფხაზეთი». საკუთრივ ქართულმა საისტორიო ტრადიციამ (ვახუშტი ბატონიშვილი) მოგვცა ზუსტი განმარტება, თუ როდის და რატომ ეწოდა ისტორიულ ეგრისს აფხაზეთი:

> ქუეყანისა ამის სახელნი არიან საერთოდ სამნი: პირველად ეგრისი, მეორედ აფხაზეთი, მესამედ იმერეთი, რამეთუ ეგრისი ეწოდების ეგროსის გამო, ძისა თარგამოსისა, რომელსა ძმათა შორის თÂსთა ხუდა წილად ქუეყანა ესე, და იწოდებოდა სახელითა ამით, ვიდრე ხოსროვანთ [ე. ი. სტეფანოზ-არჩილის სახლის] გარდავლინებამდე. ხოლო აფხაზეთი – ლევანის გამო, რომელი შემდგომად პირველის ლეონისა, მეორე ლევან ერისთაობდა აფხაზეთს... ესე ლეონ, შემდგომად ხოსროვანთ გარდაცვალებისა, გამეფდა და დაიპყრა სრულიად ეგრისი, და ამან უწოდა აფხაზეთი სამეფოსა თÂსსა, და მოიღო საერისთოსა თÂსსა სახელი ეგრისსა ზედა[2].

«აფხაზთა» სამეფოში ეთნიკურ უმრავლესობას ქართველური ტომები წარმოადგენდნენ. «აფხაზთა» სამეფო ჯერ კიდევ ლეონ II-მ დაყო რვა საერისთავოდ, რომელთაგან, მხოლოდ ერთი, საკუთრივ «აფხაზეთის საერისთავო» (თანამედროვე ახალი ათონიდან ჩრდილოეთით დაახლოებით ამჟამინდელ ტუაფსემდე) იყო დასახლებული აფხაზურ-ადიღური მოდგმის ტომებით (არაა გამორიცხული, აფხაზური ტომების ერთ ნაწილს ეცხოვრა ცხუმის საერისთავოს ფარგლებშიც). დანარჩენი შვიდი საერისთავოს (მათ შორის, ცხუმის საერისთავოს) მოსახლეობა მთლიანად ქართული იყო.

---

[1]იოვანე დრასხანაკერტელი, *სომხეთის ისტორია*, სომხური ტექსტი ქართული თარგმანით, გამოკვლევითა და საძიებლებით გამოსცა ელენე ცაგარეიშვილმა, თბილისი, გამომც. «მეცნიერება», 1965, გვ. 38, 64, 109, 111, 119, 257.

[2]ბატონიშვილი ვახუშტი, *აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება*, ტ. IV. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი, გამომც. «საბჭოთა საქართველო», 1973, გვ. 742.

ქართული ეთნიკური ელემენტი, განსაკუთრებით მისი ქართიზირებული ნაწილი, რომელიც VIII ს. მიწურულისათვის დასავლეთ საქართველოში რიცხობრივად მნიშვნელოვნად მომრავლდა, არა სხვა ვინმეს, არამედ თვით აფხაზი ისტორიკოსის, ზურაბ ანჩაბაძის სავსებით მართებული დასკვნით, აღმოჩნდა ყველაზე განვითარებული სოციალურ-ეკონომიკური და, რაცმთავარია, კულტურული თვალსაზრისით[1]. ამ გარემოებამ განაპირობა ის, რომ «აფხაზთა» სამეფოს სახელმწიფო ენად სწორედ ქართული ლიტერატურული ენა იქცა, რომელიც უკვე დიდი ხნის მანძილზე ასრულებდა სახელმწიფო საქმის წარმოებისა და საეკლესიო ღვთისმსახურების ენის ფუნქციას აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოში. დასავლეთ საქართველოში აღმოსავლურ ქართული («ქართის») ელემენტის კულტურულ-პოლიტიკური წონის განუხრელი ზრდის მაჩვენებელი იყო ისიც, რომ «აფხაზთა» მეფეებმა სატახტო ქალაქად არა ლაზიკა-ეგრისის მეფეთა ძველი რეზიდენცია – ციხე-გოჯი – არჩიეს, არამედ ქუთაისი, რომლის დაწინაურებას საისტორიო ტრადიცია ერთმნიშვნელოვნად უკავშირებს ქართლის საერისმთავრო სახლის (სტეფანოზ-არჩილის) დამკვიდრებას ამ ქალაქში VIII ს. 30-იან წლებში. სრულიად აშკარაა, რომ ანაკოფიიდან – «აფხაზეთის ერისთავთა» რეზიდენციიდან – მაინცდამაინც ქუთაისში ქართლი-ეგრისის «მეფეთა» სატახტო ქალაქში გადასვლით «ლეონიდებმა» ხაზი გაუსვეს თავიანთ უშუალო ლეგიტიმურ კავშირს სტეფანოზ-არჩილის «სამეფო» სახლთან.

ისტორიოგრაფიაში არ არის ერთიანი აზრი ლეონ II-ისა და მისი წინაპრების ეთნო-ტომობრივი წარმომავლობის საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ ამას აბსოლუტურად არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, ვინაიდან ვინც უნდა ყოფილიყვნენ ლეონ II-ის წინაპრები ეთნო-ტომობრივად (თუნდაც ისინი მართლაც იყვნენ აფხაზურ-აფსუური წარმოშობის), ე.წ. «აფხაზური» დინასტია თავისი პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი მოღვაწე-

[1]Зураб Анчабадзе, *Из истории средневековой Абхазии..*, *op. cit.,* გვ. 106-108.

ობით ერთმნიშვნელოვნად წარმოადგენდა საერთო-ქართულ კულტურულ-პოლიტიკურ და სახელმწიფოებრივ სამყაროს. «აფხაზი» მეფეები ქმნიდნენ ერთიან ქართულ სახელმწიფოს – «საქართველოს» და არა აფხაზ-აფსუათა ნაციონალურ სახელმწიფოებრივ გაერთიანებას – «აფსნის».

ის, რომ ლეონ II და მისი მემკვიდრენი აშენებდნენ მხოლოდდამხოლოდ ქართულ, და არა აფხაზურ (აფსუურ) სახელმწიფოს, ყველაზე მკაფიოდ, პირველ რიგში, «აფხაზ» მეფეთა საეკლესიო პოლიტიკაში გამოვლინდა. პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ «ლეონიდები» აქტიურად შეუდგნენ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს დაქვემდებარებიდან დასავლეთ საქართველოს ეკლესიის გამოყვანისათვის ზრუნვას. სრულიად ნათელი იყო, რომ ბიზანტიის გავლენის სფეროდან საბოლოოდ გამოსვლა შეუძლებელი იქნებოდა მანამ, სანამ არ მოხდებოდა ბერძნულ-ბიზანტიური საეკლესიო-იდეოლოგიური მარწუხებიდან თავის დაღწევა და ჭეშმარიტად ეროვნული იდეოლოგიური საფუძვლის შექმნა.

ბერძნულ-ბიზანტიურ იდეოლოგიას მათ დაუპირისპირეს მაინცდამაინც ქართული ეროვნული იდეოლოგია, რომელსაც ქართული ეკლესია განასახიერებდა. ამიტომ მიჰყვეს «აფხაზთა» მეფეებმა ხელი დიდ საეკლესიო აღმშენებლობას დასავლეთ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, რითაც რეგიონში ქართული წერილობითი კულტურისა და ქართული ქრისტიანული წიგნიერების ფართოდ დანერგვის პირობები შექმნეს. დასავლეთ საქართველოში, მათ შორის საკუთრივ აფხაზეთში, ამ პროცესს თან სდევდა ძველი ბერძნული ეპარქიების მოშლა და მათ ნაცვლად ახალი ქართული საეპისკოპოსო კათედრების დაფუძნება. სწორედ საეკლესიო სფეროში «აფხაზთა» მეფეების ამგვარი მტკიცე ეროვნული პოლიტიკის გატარების შედეგი იყო ის, რომ უკვე X ს. დამდეგისათვის დასავლეთ საქართველო, ანუ «აფხაზთა» სამეფო, მთლიანად ქართული წერილობითი კულტურისა და წიგნიერების ქვეყნად იქცა. სწორედ ამ ფონზე მოხდა დასავლეთ საქართველოს დამოუკიდებელი

საეკლესიო ორგანიზაციის – «აფხაზეთის» საკათალიკოსოს საბოლოო ფორმირება.

საისტორიო წყაროები არ იძლევიან პირდაპირ მითითებას, თუ როდის გამოეყო საბოლოოდ დასავლეთ საქართველო კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ეკლესიურად, თუმცა არსებულ მასალებზე დაყრდნობით მაინც ხერხდება ამ პროცესისათვის თვალის გადევნება. დღეს შეიძლება დადგენილად ჩაითვალოს, რომ «აფხაზეთის» საკათალიკოსოს სახელის მქონე საეკლესიო ორგანიზაცია მხოლოდ «აფხაზთა» სამეფოს ხანაში შეიძლებოდა შექმნილიყო. ამას პირდაპირ ადასტურებს იმავე ვახუშტი ბატონიშვილის ცნობა, რომლის მიხედვითაც

> ოდეს განდგა ლეონ და იწოდა აფხაზთა მეფედ, მაშინ მოუძლურებულ იყვნენ ბერძენნიცა; და ამ ლევანის მიერ, ანუ შემდგომთა მისთაგან განთავისუფლდა თხოვნითა ბერძენთაგანვე, ვინაÁთგან სახელიცა მისი ესრეთვე წარმოაჩინებს, რამეთუ უწოდებენ კათალიკოზსა აფხაზეთისასა და არა ეგრისისასა და იმერეთისასა[1].

ამასთან არაა გამორიცხული, რომ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს იურისდიქციიდან დასავლეთ საქართველოს ეპარქიების გამოყოფის პროცესი დაწყებულიყო ჯერ კიდევ 744-750 წლებში, როდესაც შესაძლოა «აფხაზეთის ერისთავმა» ბიჭვინთის იერარქს მიანიჭა «აფხაზეთის კათოლიკოსის» წოდება, რაც ოფიციალურად აღიარა კიდეც ანტიოქიის პატრიარქმა[2]. ეს უნდა მომხდარიყო კონსტანტინოპოლთან გარკვეული დაპირისპირების პირობებში, როდესაც ბიზანტიის იმპერიაში ხატმებრძოლეობამ პიკს მიაღწია. ამით ისარგებლა «აფხაზეთის

---

[1]ბატონიშვილი ვახუშტი, *აღწერა სამეფოსა საქართველოსა…*, *op. cit.*,გვ. 746.

[2]ვახტანგ გოილაძე, *ქართული ეკლესიის სათავეებთან*, ქუთაისის პოლიგრაფიული საწარმოო გაერთიანება, 1991, გვ. 168-175; ანანია ჯაფარიძე, *საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია*, ტ. II. თბილისი, გამომც. «მერანი», 1998, გვ. 90; ბიჭიკო დიასამიძე, *ქრისტიანობა დასავლეთ საქართველოში (I-X საუკუნეები)*, ბათუმი, გამომც. «ბათუმის უნივერსიტეტი», 2001,გვ. 203; ჯემალ გამახარია, *აფხაზეთი და მართლმადიდებლობა (Iს. – 1921 წ.)*, თბილისი, საგამომცემლო ცენტრი «ლიკა», 2005, გვ. 117.

ერისთავმა» და განუდგა ბიზანტიას ეკლესიურად[1]. სწორედ საკუთრივ აფხაზეთის ფარგლებში უნდა გაეკეთებინა ჯერ კიდევ «საერისთავოს» სტატუსის მქონე აფხაზეთის პოლიტიკურ ხელმძღვანელობას აქცენტი ბიჭვინთაზე და დაეპირისპირებინა ის კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს პოლიტიკის გამტარებელი აბაზგიის (სებასტოპოლისის) საარქიეპისკოპოსოსათვის, ვინაიდან დასავლეთ საქართველოს ერთიან სახელმწიფოში – «აფხაზთა» სამეფოში – გაერთიანების შემდეგ, მეტად საეჭვოა ბიჭვინთას, მიუხედავად «ძველი დიდებისა[2],» კონკურენცია გაეწია იმავე ფაზისისათვის, რომელიც, როგორც უკვე აღინიშნა, ლაზიკის სამიტროპოლიტოს (ფაქტობრივად მთელი დასავლეთ საქართველოს) ცენტრი იყო.

და მაინც, აშკარაა, რომ ამ ეტაპზე ვერ მოხერხდა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს დაქვემდებარებიდან რეალურად გამოსვლა. ამ მიმართულებით მეორე მცდელობას ადგილი უნდა ჰქონოდა უკვე «აფხაზთა» სამეფოს შექმნის შემდეგ, როდესაც პოლიტიკური სუვერენიტეტის მოპოვების ფონზე ერთიან დასავლურ-ქართულ სახელმწიფოს დასჭირდა ბიზანტიის პოლიტიკურ-იდეოლოგიური გავლენისაგან თავისუფალი, დამოუკიდებელი საეკლესიო ორგანიზაცია. სავსებით შესაძლებელია ეს მომხდარიყო 830 წლის ახლო ხანებში, როგორც ამას გვამცნობს *ქართლის ცხოვრების* ერთერთი გვიანდელი ნუსხის ჩანართში *მატიანე ქართლისაÁს* ტექსტზე გაკეთებული მინაწე-

---

[1]ვახტანგ გოილაძე, *ქართული ეკლესიის სათავეებთან..*, *op. cit.,*გვ. 168-175; ანანია ჯაფარიძე, *საქართველოს სამოციქულოეკლესიის ისტორია..*, *op. cit.,*გვ. 90; ბიჭიკო დიასამიძე, *ქრისტიანობა დასავლეთ საქართველოში..*, *op. cit.,* გვ. 203; ჯემალ გამახარია, აფხაზეთი და მართლმადიდებლობა.., *op. cit.,* გვ. 117.

[2]როგორც ცნობილია, ბიჭვინთის ეპარქიამ საყოველთაო აღიარება მოიპოვა IV საუკუნიდან, როდესაც ბიჭვინთის ეპისკოპოსმა სტრატოფილემ მონაწილეობა მიიღო ნიკეაში გამართული (325 წ.) მსოფლიო პირველი საეკლესიო კრების მუშაობაში. იხ.: *გეორგიკა*, ტ. I. *ბიზანტიელ მწერალთა ცნობები საქართველოს შესახებ*, ბერძნული ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა, თბილისი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა. 1961, გვ. 2-10.

რი: «...ამან ბაგრატ განაჩინა დ აგანაწესა კათალიკოზი აფხაზეთს ქრისტეს აქეთ 830 წელს[1].» სავარაუდოა, რომ მაშინ მოხდა დასავლეთ საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის დეკლარირება, რომელიც, ბუნებრივია, ერთბაშად არ ცნო კოსტანტინოპოლის საპატრიარქომ, ვინაიდან დასავლეთ საქართველოს ეპარქიები ამ დროს ჯერ კიდევ ფიგურირებენ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს იურისდიქციის ქვეშ მყოფ საეკლესიო კათედრათა ნუსხებში (ნოტიციებში).

«აფხაზეთის» საკათალიკოსოს დაარსების თარიღის დადგენისას გადამწყვეტი მნიშვნელობა სწორედ ამ ნოტიციებს ენიჭება. გამოყოფენ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ეპარქიათა ნუსხების ორ ჯგუფს: პირველი ჯგუფის ნოტიციებს, რომლებიც შეუდგენიათ VII-IX საუკუნეებში, არაუგვიანეს 820-829 წლებისა და მეორე ჯგუფის, რომელთა შედგენას უკავშირებენ ბიზანტიის იმპერატორის ლეონ VI-ის (886-912) ეპოქას[2]. პირველი ჯგუფის ნოტიციებში კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს კათედრებს შორის დასახელებულია დასავლეთ საქართველოს ეპარქიები: ფაზისის (ლაზიკის) სამიტროპოლიტო მისდამი დაქვემდებარებული 4 (როდოპოლისის, საისი-ცაიშის, პეტრას, ზიგანევის) საეპისკოპოსოთი, სებასტოპოლისისა (აბაზგიის) და ნიკოფსიის საარქიეპისკოპოსოები. 901-907 წლებით დათარიღებულ მეორე ჯგუფის პირველსავე ნუსხაში კი მხოლოდ

---

[1]*ქართლის ცხოვრება დასაბამითგან მეცხრამეტე საუკუნემდის*, თარგმნილი და გა მოცემული უ. ბროსე, წევრისა საიმპერატორო აკადემიისა მეცნიერებათა. ნაწ. I. სანკტპეტერბურღს, 1849, გვ. 190; პავლე ინგოროყვა,*გიორგი მერჩულე. ქართველი მწერალი მეათე საუკუნისა*, თბილისი, გამომც. «საბჭოთა მწერალი», 1954, გვ. 244. იხ. აგრეთვე: *მატიანე ქართლისა.., op. cit.,* გვ. 255; ნიკო ბერძენიშვილი, «სავაზირო ფეოდალურ საქართველოში. ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი», წგნ.: ნიკო ბერძენიშვილი,*საქართველოს ისტორიის საკითხები*, ნაწ. III, თბილისი, გამომც. «მეცნიერება», 1966, გვ. 46.

[2]*გეორგიკა.., op. cit.,*ტ. IV, ნაწ. II. გვ. 184; პავლე ინგოროყვა, *გიორგიმერჩულე.., op. cit.,*გვ. 234-242; ბუბა კუდავა, «კონსტანტინოპოლის საპატრიარქო და.., *op. cit.,* გვ. 43-48 გვ. 43; თამარ ქორიძე, *აფხაზეთის საკათალიკოსოს ისტორია.., op. cit.,* გვ. 8-9.

სებასტოპოლისის საარქიეპისკოპოსოა მოხსენიებული. ეს ფაქტი სავსებით მართებულად ერთნიშნადაა აღიარებული იმის დადასტურებად, რომ X ს. დამდეგისათვის დასავლეთ საქართველოს ეკლესია უკვე გამოსული იყო კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს იურისდიქციიდან.

ისტორიოგრაფიაში ყველაზე დამაჯერებლადაა მიჩნეული, რომ ეს უნდა მომხდარიყო IX ს. 80-90-იანწლებში[1], «თხოვნითა ბერძენთაგანვე» (ვახუშტი ბატონიშვილი), ანუ კონსტანტინოპოლის დასტურით. სწორედ ამ პერიოდში, მას მერე, რაც ქუთაისის ტახტი იმპერიის დიპლომატიური და სამხედრო დახმარებით ბიზანტიაში გახიზნულმა უფლისწულმა ბაგრატმა დაიკავა, «აფხაზთა» სამეფოსა და ბიზანტიის იმპერიას შორის ურთიერთობა აშკარად კონსტრუქციულ რეჟიმში გადავიდა[2]. სწორედ ასეთ პოლიტიკურ ფონზე, სავსებით შესაძლებელია, ბაგრატ «აფხაზთა» მეფეს მართლაც გამოეჩინა დიპლომატიური ინიციატივა და «ეთხოვა» ბიზანტიის ხელისუფლებისათვის, ეშუამდგომლა კოსტანტინოპოლის პატრიარქის წინაშე, რათა ამ უკანასკნელს ეღიარებინა დასავლეთ საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობა. ამ დასკვნას ერთგვარად ამაგრებს ქართლის პრეცედენტიც. ძველი ქართული საისტორიო ტრადიციის თანახმად, როგორც ცნობილია, ვახტანგ გორგასალმა სწორედ კონსტანტინოპოლს მიმართა «თხოვნით» და ბიზანტიის იმპერიის პოლიტიკურ და სასულიერო ხელისუფლებასთან შეთანხმებით მიაღწია კათოლიკოსობის დაწესებასა და ამ გზით ქართლის ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარებას[3].

---

[1]ნიკო ბერძენიშვილი, *სავაზირო ფეოდალურ საქართველოში..*, *op. cit.,*გვ. 45; ბუბა კუდავა, «კონსტანტინოპოლის საპატრიარქო და..», *op. cit.,* გვ. 47; თამარ ქორიძე, *აფხაზეთის საკათალიკოსოს ისტორია..*, *op. cit.,* გვ. 9-10; ზურაბ პაპასქირი, «'აფხაზთა' საკათალიკოსოს დაწესების ქრონოლოგიისათვის», *op. cit.,*გვ. 208-210.

[2]ზურაბ პაპასქირი, «'აფხაზთა'სამეფოს საგარეო-პოლიტიკური ორიენტაციის…», *op. cit.,*გვ. 329-330.

[3]ზურაბ პაპასქირი, «'აფხაზთა' საკათალიკოსოს დაწესების...», *op. cit.,* გვ. 209-210.

XI ს. დამდეგიდან, როდესაც «აფხაზთა» მეფე ბაგრატ III-მ ძირითადად დაასრულა ქართული მიწების გაერთიანებისა და ერთიანი სახელმწიფოს ფორმირების პროცესი, «აფხაზეთის» საკათალიკოსო მცხეთის ტახტს დაექვემდებარა, ამიტომაც იწოდა ამიერიდან ქართლის კათოლიკოსი კათოლიკოს-პატრიარქად. XI-XII საუკუნეებში «აფხაზეთის» კათოლიკოსებზე მცირე რამ არის ცნობილი, მაგრამ «კათოლიკოსთა ორთავეს» არსებობა XII-XIII საუკუნების მიჯნისათვის არავითარ ეჭვს არ იწვევს[1]. XIII საუკუნიდან (დავით ნარინის მეფობის დროიდან) შეიმჩნევა «აფხაზეთის» კათალიკოსის ერთგვარი გააქტიურება, მაგრამ ამ ეტაპზე «აფხაზეთის» საკათალიკოსო ჯერ კიდევ არ წარმოადგენდა დამოუკიდებელ საეკლესიო ორგანიზაციას. მისი იურიდიული სტატუსის ამაღლება და მცხეთის საპატრიარქოსაგან დამოუკიდებელი საეკლესიო ორგანიზაციის რანგში გაფორმება მოხდა მხოლოდ XV ს. 70-იან წლებში, როდესაც დასავლეთ საქართველოს იმჟამინდელი ლიდერების – იმერეთის (გარკვეულ პერიოდში ქართლ-იმერეთის) მეფის ბაგრატისა და «დიდ ერისთავთ-ერისთავის დადიან-გურიელის» შამადავლეს ინიციატივითა და ანტიოქიის პატრიარქის მიხეილის უშუალო მონაწილეობით[2] განხორციელდა ცაიშელ-ბედიელი

[1]ამის შესახებ დაწვრილ. იხ.: ეპიფანე გვენეტაძე, «'კათალიკოსთა ორთავე' -ს საკითხისათვის», *საისტორიო ძიებანი, II,* ექვთიმე თაყაიშვილის სახ. საქართველოს საისტორიო საზოგადოების აფხაზეთის ორგანიზაცია, წელიწდეული, თბილისი, სააქციო საზოგადოება «პირველი სტამბა», 1999, გვ. 72-76; ეპიფანე გვენეტაძე, *იმერეთის სამეფოს წარმოქმნის ისტორიიდან*, თბილისი, ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალი, ექვთიმე თაყაიშვილის სახ. საქართველოს საისტორიო საზოგადოების აფხაზეთის ორგანიზაცია. 2003, გვ. 38-42.

[2]ეს იყო მორიგი მცდელობა ანტიოქიის საპატრიაქოს მხრიდან საქართველოს საეკლესიო ცხოვრებაში აქტიური ჩარევისა და ქართულ ეკლესიაზე თავისი «უზენაესობის» დემონსტრირებისა. ამი სშესახებ იხ.: А. Л. Рыбаков, «Абхазский Католикосат Грузинской Православной Церкви. К проблеме статуса и канонического строя», XVIII Ежегодная богословская конференция ПСТГУ (Православного Свято-Тихоновского гуманитарного университета), Материалы.

მთავარეპისკოპოსის იოვაკიმეს ხელდასხმა «ლიხთიმერისა და აფხაზეთის» კათალიკოსად. როგორც ცნობილია, ამასთან დაკავშირებით, შედგენილ იქნა სპეციალური დოკუმენტი – *მცნებაÁYსარჯულო,* რომელშიც «აფხაზეთის» კათალიკოსის სამწყსოდ გამოცხადებულია მთელი დასავლეთი საქართველო: იმერეთი, გურია, ოდიში, აფხაზეთი, სრულიად აჭარა, შავშეთი და კლარჯეთი[1].

«აფხაზეთის» საკათალიკოსოს დამოუკიდებელ საეკლესიო ორგანიზაციად გადაქცევა სრულებითაც არ ყოფილა საკუთრივ აფხაზური (აფსუური) მოვლენა. ეს იყო იმ პერიოდის დასავლეთ საქართველოს მესვეურთა – ბაგრატ VI-ისა და შამადავლე დადიან-გურიელის სეპარატისტული მისწრაფებების დემონსტრირება. სწორედ მათ დასჭირდათ საკუთარი პოლიტიკური ამბიციების დასაკმაყოფილებლად «თავიანთი», საერთო-ქართული ერთიანობის განმასახიერებელი მცხეთის საპატრიარქოსაგან დამოუკიდებელი ეკლესია[2]. რაც შეეხება საკუთრივ აფხაზეთის ერისთავს, მისი უშუალო მონაწილეობა ამ პროცესში საერთოდ არ ჩანს, თუმცა არაა გამორიცხული, რომ ის, როგორც შამადავლე დადიანისა და მისი მეშვეობით იმერეთის მეფის ვასალი-მოხელე, მხარს უჭერდა კიდეც თავის სიუზერენთა ამ ინიციატივას.

ის, რომ «აფხაზეთის» საკათალიკოსოიყო მხოლოდდამხოლოდ ქართული (და არა აფსუა-აფხაზური) საეკლესიო ორგანიზაცია, მკაფიოდაა დაფიქსირებული როგორც ნარატიულ წყაროებში ისე, რაც მთავარია, დოკუმენტურ მასალებში. პირ-

---

Т. I. Москва, Издательство Православного Свято-Тихоновского Гуманитарного Университета, 2008, გვ. 401-406, http://pstgu.ru/download/1281269567.rybakov.pdf, ნახ. 10 ნოემბერი, 2015 წ.

[1] *მცნებაÁ სარჯულო,* ქართული სამართლის ძეგლები. ტ. III. საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIX სს.), ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ისიდორე დოლიძემ, თბილისი, გამომც. «მეცნიერება», 1970, გვ. 221-233.

[2] ამ მოვლენის შეფასება იხ.: ივანე ჯავახიშვილი, *ქართველი ერის ისტორია,* ტ. IV, თბილისი, გამომც. «საბჭოთა საქართველო». 1966, გვ. 111-114.

ველ რიგში, ესაა «აფხაზეთის» საკათალიკოსოს მოღვაწეობის ამსახველი ძეგლები: ე.წ. *აფხაზეთის საკათალიკოსოს დიდი იადგარი* (ანუ *ბიჭვინთის იადგარი*)[1]და *აფხაზეთის საკათალიკოსოს გლეხების დიდი იადგარი*[2]. ერთადერთი, რაც აკავშირებს აფხაზურ (აფსუურ) სამყაროს «აფხაზეთის» საკათალიკოსოსთან, არის ის, რომ კათალიკოსთა რეზიდენცია დიდი ხნის განმავლობაში იყო ბიჭვინთაში – ე.ი. აფხაზეთის საერისთავოს ტერიტორიაზე, სადაც ამ დროისათვის ძირითადად ცხოვრობდნენ აფხაზური ტომები. ასე რომ ე.წ. «აფხაზეთის» საკათალიკოსოს ეროვნულ-კულტურული იერსახე არავითარ ეჭვს არ იწვევს და ის, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მთლიანად ქართული იყო[3], ხოლო ის ფაქტი, რომ დასავლეთ საქართველოს ეკლესიის ცენტრი იყო ბიჭვინთა, მეტყველებს მხოლოდ იმაზე, რომ ეთნიკური აფხაზები ამ ხანაშიც (XIII-XV საუკუნეებში) რჩებოდნენ ქართული ქრისტიანული სამყაროს არეალში.

XVI-XVIII საუკუნეებში «უსჯულოებად მიქცეულმა» აფხაზობამ ერთიანად წალეკა ადრინდელი ქრისტიანული სიწმინდეები. აფხაზეთისკ ათალიკოსი იძულებული შეიქნა, დაეტოვები-

---

[1]სარგის კაკაბაძე, *აფხაზეთის საკათალიკოსოს დიდი იადგარი, საისტორიო მოამბე*, საქართველოს ცენტრალური არქივი. ტ. 2, ტფილისი, სახელმწიფო გამომცემლობა, 1925, გვ. 177-192; *ბიჭვინთის იადგარი* (1525-1550 წწ.), *ქართული სამართლის ძეგლები*, ტ. I,. საერო საკანონმდებლო ძეგლები (X-XIX სს.). ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ისიდორე დოლიძემ, თბილისი, გამომც.«მეცნიერება», 1965, გვ. 176-183, 615-617. «'ბიჭვინთის იადგარისა' და მისდამი დართული ისტორიული საბუთების უახლესი კრიტიკული გამოცემა», იხ.: გონელი არახამია, *ბიჭვინთის იადგარი. წყაროთმცოდნეობითი გამოკვლევა*, თბილისი, გამომც. «მემატიანე», 2009, გვ. 65-91.

[2]სარგის კაკაბაძე, *აფხაზეთის საკათალიკოსოს გლეხების დიდი იადგარი*, ტფილისი, სტამბა ს. ლოსაბერიძისა, 1914; *აფხაზეთის საკათალიკოზო გამოსავალი მოსკრებლობის დავთარი (1621 წ.), ქართული სამართლის ძეგლები.* ტ. III. საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIX სს.), ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო *ისიდორე დოლიძემ*, თბილისი, გამომც. «მეცნიერება». 1970, გვ. 397-437, 1165.

[3]Зураб Анчабадзе, *Из истории средневековой Абхазии*, *op. cit.,* გვ. 242.

ნა ბიჭვინთა და საკათალიკოსო ტახტი გელათში გადაეტანა. მოიშალა დრანდის, მოქვისა და ბედიის ეპარქიები. მიუხედავად «აფხაზეთის» კათალიკოსების გელათში გადასვლისა, ბიჭვინთა მაინც რჩებოდა დასავლეთ საქართველოს უმნიშვნელოვანეს ცენტრად, სადაც სრულდებოდა მირონის კურთხევა და სხვა სადღესასწაულო რიტუალები[1], უკლებლივ ყველა ცნობილი «აფხაზეთის» კათალიკოსი ეთნიკურად ქართველი იყო. ზოგიერთი აფხაზი ავტორის (დ. დბარის) მტიცება, თითქოს ქართველებს მხოლოდ 1390 წლიდან (როდესაც ოდიშის მთავარმა ვამეყ დადიანმა ჯიქეთში ლაშქრობის შემდეგ კათოლიკოსად დასვა «დასავლეთ საქართველოს მკვიდრი» არსენი) ეკავათ «აფხაზეთის» საკათალიკოსო ტახტი, აბსოლუტურად უსაფუძვლოა. ასევე არასწორია დასკვნა იმის შესახებ, თითქოს «აფხაზთა განდგომა» ქრისტიანობისაგან გამოწვეული ყოფილიყოს «აფხაზეთის» საკათალიკოსოს სრული გაქართველებით, ხოლო ქრისტიანული სიწმინდეების მოშლა აფხაზეთში თურქ-ოსმალთა თარეშით[2].

სრული კატეგორიულობით შეიძლება ითქვას, რომ ყოველივე ეს უკავშირდება გვიან შუასაუკუნეებში თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე მიმდინარე ეთნო-დემოგრაფიულ ცვლილებებს, კერძოდ, მონათესავე მთიელ ტომთა ახალი ტალღის გამოჩენას, რომელმაც რეგიონის ეთნო-სოციალური და კულტურულ-ეკონომიკური იერსახის სრული მეტამორფოზა გამოიწვია. მოკლე დროში აწინდელი აფხაზეთი, მაღალგანვითარებული ფეოდალური მხარიდან, სადაც აყვავებას განიცდიდა ქართული ქრისტიანული კულტურა და წიგნიერება, ერთბა-

---

[1]Дмитрий Бакрадзе, *Кавказ в древних памятниках христианства*, Общество любителей археологии, кн. I, Тифлис, Типография Главного управления наместника кавказского, 1875, გვ. 121-122; Зураб Анчабадзе, *Из истории средневековой Абхазии*.., *op. cit.,* გვ. 242, 278.

[2]Иеромонах Дорофей (Дбар), *Краткий очерк истории Абхазской Православной Церкви*, НовыйАфон, Издательство «Стратофил». 2005, http://www.abkhazia.ru/religion/, ნახ. 17 ოქტომბერი, 2015 წ.

შად გადაიქცა ჩამორჩენილ პროვინციად, პრიმიტიული პატრიარქალური წყობითა და რეანიმირებული წარმართული რწმენა-წარმოდგენებით.

შარვაშიძეთა საგვარეულოს წარმომადგენლები, რომელთაც ჩაბარებული ჰქონდათ აფხაზეთის საერისთავოს მართვა, თავიანთ ბრძოლაში ოდიშის მთავართა წინააღმდეგ სულ უფრო აქტიურად იყენებდნენ ჯიქ-აფხაზებს და თვითონ გამოდიოდნენ მათი აფხაზეთში დაფუძნების ინიციატივით. ეს ახალმოსული ჯიქ-აფხაზები სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონით მკვეთრად განსხვავდებოდნენ აფხაზეთის საერისთავოს მკვიდრი მოსახლეობისაგან. თუ ადგილობრივი «აფხაზობა» წარმოადგენდა მაღალგანვითარებული ქართული ფეოდალური საზოგადოების ნაწილს, ზოგადქართული ქრისტიანული იდეოლოგიითა და წიგნიერი კულტურით, მოსული ჯიქ-აფხაზნი პირველყოფილი თემური წყობილების წიაღიდან გამოსული «ბარბაროსული» მენტალიტეტის მატარებელი დამანგრეველი ძალა იყო, რომელიც თავის გზაზე პირწმინდად ანადგურებდა განვითარებული ფეოდალური საზოგადოების მატერიალურ და სულიერ ფასეულობებს. ამას თითქმის დოკუმენტურად ადასტურებს XVII ს. II ნახევარში დასავლეთ საქართველოში მყოფი იერუსალიმის პატრი არქიდოსითეოსი, რომელიც პირდაპირ მიუთითებს, რომ «абазги опустошали… его владение, разорили храмы и монастыри: Мокфи [მოქვი], Хопи [ხობი], Киайнси [ქიაჩი], Зугдити [ზუგდიდი] и все страны от Диоскурии до Гиппуса [ჰიპიუსი-ცხენისწყალი] и Фазиса…[1].»

«აფხაზეთის» საკათალიკოსომ ფაქტობრივად არსებობა შეწყვიტა 1795 წელს, როდესაც კიევში გარდაიცვალა რუსეთიდან პალესტინაში მიმავალი უკანასკნელი კათალიკოსი მაქსიმე II აბა-

[1]Мари Броссе, *О религиозном и политическом состоянии Грузии до XVII века*, Журнал Министерства Народного просвящения, Часть XL, Санкт-Петербург, Типография Императорской Академии наук, 1843, p. 231. https://books.google.ge/books?id= 3D4ZA QAAIAAJ&pg= PA231&lpg=#v=onepage&q&f=false, ნახ. 17 ოქტომბერი, 2015 წ.; Джемал Гамахария, Бадри Гогия, *Абхазия – историческая…*, *op. cit.,* გვ. 264.

შიძე. XIX ს. მთელ მანძილზე და XX ს. დამდეგს თანამედროვე აფხაზეთი დანარჩენ დასავლეთ საქართველოსთან ერთად საქართველოს საეგზარქოსოში შემოდიოდა. რუსეთის იმპერიის საერო და სასულიერო ხელისუფლებას, მართალია, ჰქონდა სერიოზული მცდელობა აფხაზეთის ეკლესიური მოწყვეტისა დანარჩენი საქართველოსაგან, მაგრამ ქართველი და აფხაზი მოღვაწეების თავგამოდებული რუდუნების შედეგად აფხაზეთი დარჩა საქართველოს საეგზარქოსოს ფარგლებში.

1917 წ. მარტში საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ, როგორც უკვე აღინიშნა, კვლავ იყო მცდელობა – ამჯერად უკვე სეპარატისტულად განწყობილი აფხაზი «სახალხო ინტელიგენციის» წარმომადგენლების მხრიდან – აფხაზეთის ჩამოცილებისა დედა ეკლესიისაგან. 24-27 მაისს სოხუმში მოწვეულ აფხაზური მართლმადიდებლური მოსახლეობის სასულიერო და არჩეულ საერო პირთა «ყრილობაზე», რომელზეც ზემოთ უკვე შევაჩერეთ ყურადღება, გადაწყდა «დამოუკიდებელი, სრულუფლებიანი აფხაზეთის ეკლესიის»ა ღდგენა «с пребыванием выборного от Абхазского народа епископа с предоставлением ему всех прав главы независимой Абхазской церкви со всеми необходимыми для сего учреждениями в г. Сухуме[1].» მაგრამ აფხაზ სეპარატისტთა ეს მცდელობა ჩაიშალა. მოგვიანებით კი, 1919 წ. სექტემბერ-ოქტომბერში შეიქმნა ცხუმ-აფხაზეთის ეპარქია, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ჭყონდიდელი მიტროპოლიტი ამბროსი (ხელაია). ამით დასრულდა გაურკვევლობის მცირე პერიოდი (1917 წლიდან) და აფხაზეთი კვლავ დედა ეკლესიის წიაღს დაუბრუნდა.

დასკვნა

ამრიგად, როგორც ყოველივე ზემოაღნიშნულიდან შეიძლება ერთმნიშვნელოვნად დავასკვნათ, მითები «აფხაზეთის» საკათა-

[1] *История возникновения христианства в Абхазии*, ვებ-გვერდი: Грузинская Православная Церковь, http://www.geo.orthodoxy.ru/history10.htm, ნახ. 10 ნოემბერი, 2015 წ..

ლიკოსოზე, როგორც საკუთრივ აფხაზურ საეკლესიო ორგანიზაციაზე, ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს და მთლიანად სეპარატისტული პროპაგანდის ისტორიოგრაფიულ-იდეოლოგიურ უზრუნველყოფას ემსახურება. სტატიაში მოტანილი მასალა ერთნიშნად ადასტურებს, რომ ე.წ. «აფხაზეთის» საკათალიკოსო ისტორიულად ყოველთვის იყომ ხოლოდდამხოლოდ ქართული საეკლესიო ორგანიზაცია, რომლის იურისდიქცია ვრცელდებოდა მთელ დასავლეთ საქართველოზე.

ბიბლიოგრაფია

არახამია, გონელი, *ბიჭვინთის იადგარი. წყაროთმცოდნეობითი გამოკვლევა.* თბილისი, გამომც. «მემატიანე», 2009.

აფხაზეთის საკათალიკოზო გამოსავალი მოსკრებლობის დავთარი (1621 წ.), ქართული სამართლის ძეგლები. ტ. III. საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIX სს.), ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ისიდორე დოლიძემ, თბილისი, გამომც. «მეცნიერება», 1970.

ახალაძე, ლია, *აფხაზეთის ეპიგრაფიკა როგორც საისტორიო წყარო.* I. ლაპიდარული და ფრესკული წარწერები, თბილისი, გამომც.«ლეგა». 2005.

ბატონიშვილი ვახუშტი, *აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება,* ტ. IV. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი, გამომც. «საბჭოთა საქარ-თველო», 1973.

ბერძენიშვილი, ნიკო, «სავაზირო ფეოდალურ საქართველოში. ჭყონდიდელმწიგნობართუხუცესი», წგნ. ნიკო ბერძენიშვილი, *საქართველოს ისტორიის საკითხები,* წ. III, თბილისი, გამომც. «მეცნიერება», 1966.

ბიჭვინთის იადგარი (1525-1550 წწ.), *ქართული სამართლის ძეგლები.* ტ. II. საერო საკანონმდებლო ძეგლები (X-XIX სს.), ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ისიდორე დოლიძემ, თბილისი, გამომც. «მეცნიერება», 1965.

გამახარია, ჯემალ, *აფხაზეთი და მართლმადიდებლობა (I ს. – 1921 წ.),* თბილისი, საგამომცემლო ცენტრი «ლიკა», 2005.

გეორგიკა, ტ. I. *ბიზანტიელ მწერალთა ცნობები საქართველოს შესახებ.* ბერძნული ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა, თბილისი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1961.

გეორგიკა, ტ. IV, ნაწ. II. *ბიზანტიელ მწერალთა ცნობები საქართველოს შესახებ.* ბერძნული ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა, თბილისი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1952.

გვენეტაძე, ეპიფანე, «'კათალიკოსთა ორთავე'-ს საკითხისათვის», *საისტორიო ძიებანი, II*, ექვთიმე თაყაიშვილის სახ. საქართველოს საისტორიო საზოგადოების აფხაზეთის ორგანიზაცია, წელიწდეული, თბილისი, სააქციო საზოგადოება «პირველი სტამბა», 1999, გვ. 72-76.

გვენეტაძე, ეპიფანე, *იმერეთის სამეფოს წარმოქმნის ისტორიიდან*, ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალი, ექვთიმე თაყაიშვილის სახ. საქართველოს საისტორიო საზოგადოების აფხაზეთის ორგანიზაცია, თბილისი, 2003.

გოილაძე, ვახტანგ, *ქართული ეკლესიის სათავეებთან*, ქუთაისის პოლიგრაფიული საწარმოო გაერთიანება, 1991.

დიასამიძე, ბიჭიკო, *ქრისტიანობა დასავლეთ საქართველოში (I-X საუკუნეები)*, ბათუმი, გამომც. «ბათუმის უნივერსიტეტი», 2001.

დრასხანაკერტელი, იოვანე, *სომხეთის ისტორია*, სომხური ტექსტი ქართული თარგმანით, გამოკვლევითა და საძიებლებით გამოსცა ელენე ცაგარეიშვილმა, თბილისი, გამომც. «მეცნიერება», 1965.

ინგოროყვა, პავლე, *გიორგი მერჩულე. ქართველი მწერალი მეათე საუკუნისა.* თბილისი, გამომც. «საბჭოთა მწერალი», 1954.

კაკაბაძე, სარგის, *აფხაზეთის საკათალიკოსოს გლეხების დიდი იადგარი*, ტფილისი, სტამბა ს. ლოსაბერიძისა, 1914.

კაკაბაძე, სარგის, *აფხაზეთის საკათალიკოსოს დიდი იადგარი, საისტორიო მოამბე*, საქართველოს ცენტრალური არქივი, ტ. 2, ტფილისი, სახელმწიფო გამომცემლობა,1925.

კუდავა, ბუბა, «კონსტანტინოპოლის საპატრიარქო და დასავლეთ საქართველოს საეკლესიო ცენტრები (IX ს.)», *ისტორიანი*, სამეცნიერო კრებული, მიძღვნილი როინ მეტრეველის დაბადების 60 წლისთავისადმი, თბილისი, გამომც. «არტანუჯი», 2000.

მატიანე ქართლისა, ქართლისცხოვრება. ტ. I. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი, სახელმწიფო გამომცემლობა, 1955.

მეტრეველი, როინ, პაპასქირი, ზურაბ, *საქართველო და ძველი რუსეთი. IX-XI საუკუნეების I მესამედი*,ქ ართული დიპლომატია, წელიწდეული, XIV, თბილისი, გამომც. «არტანუჯი», 2011.

მცნებაÁ სარჯულო, ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III. საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIX სს.), ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო *ისიდორე დოლიძემ*, თბილისი, გამომც. «მეცნიე-რება», 1970.

პაპასქირი, ზურაბ, «’აფხაზეთის’ საკათოლიკოსოს დაარსების თარიღის საკითხისათვის», წგნ. ზურაბ პაპასქირი, *და აღმოცისკრდა საქართველო ნიკოფსიიდან დარუბანდამდე*, თბილისი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2009.

პაპასქირი, ზურაბ, «’აფხაზთა’ საკათალიკოსოს დაწესების ქრონოლოგიისათვის», შოთა მესხია – 90. საიუბილეო კრებული მიძღვნილი შოთა მესხიას 90 წლისთავისადმი, თბილისი, გამომც. «ნეკერი», 2006, გვ. 207-218.

პაპასქირი, ზურაბ, «’აფხაზთა’ სამეფოს ეთნო-კულტურული და პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი იერსახის სეპარატისტული ხედვის კრიტიკისათვის», ქართველოლოგიის აქტუალური პრობლემები, I, თბილისი, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი, 2012, გვ. 155-172http://sangu.ge/images/zpapaskiri.pdf, ნახ. 17 მაისი, 2015 წ.

პაპასქირი, ზურაბ, «’აფხაზთა’ სამეფოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იერსახის საკითხისათვის», კრებ.: *გივი წულაია – 80*, თბილისი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, 2014, გვ. 151-186.

პაპასქირი, ზურაბ, «’აფხაზთა’ სამეფოს საგარეო-პოლიტიკური ორიენტაციის დაზუსტების საკითხისათვის», *ქართული დიპლომატია,* წელიწდეული, ტ. 6. თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1999.

პაპასქირი, ზურაბ, «’უმეცრობის ფართი-ფურთი’, ანუ ცნობილი ფალსიფიკატორის მორიგი გამოხდომა», წგნ. ზურაბ პაპასქირი, *აფხაზეთი საქართველოა*, თბილისი, გამომც. «აღმაშენებელი», 1998, გვ. 76-107.

პაპასქირი, ზურაბ, «ცრუ ისტორია. შენიშვნები ოლეგ ბღაჟბას და სტანისლავ ლაკობას ‘აფხაზეთის ისტორიის’ სახელმძღვანელოზე, აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის შრომათა კრებული», ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სერია, თბილისი, გამომც. «მერიდიანი», 2010 http://iberiana.wordpress.com/afxazeti/papaskiri-recenzia/, ნახ. 17 მაისი, 2015 წ.

სილოგავა, ვალერი, *აფხაზეთისა და სამეგრელოს ეპიგრაფიკა*, თბილისი, გამომც. «არტანუჯი», 2004.

სილოგავა, ვალერი, *ქართული ლაპიდარული წარწერების კორპუსი*, II, დასავლეთ საქართველოს წარწერები. ნაკვ. I (IX-XIII სს.), თბილისი, გამომც. «მეცნიერება», 1980.

ქართლის ცხოვრება დასაბამითგან მეცხრამეტე საუკუნემდის, თარგმნილი და გამოცემული უ. ბროსე, წევრისა საიმპერატორო აკადემიისა მეცნიერებათა. ნაწ. I. სანკტპეტერბურღს, 1849.

ქორიძე, თამარ, *აფხაზეთის საკათოლიკოსოს ისტორია (IX-XVI სს.)*, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის ავტორეფერატი, თბილისი, ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2003.

ჯავახიშვილი, ივანე, *ქართველი ერის ისტორია*, ტ. IV, თბილისი, გამომც. «საბჭოთა საქართველო», 1966.

ჯაფარიძე, ანანია, მიტროპოლიტი, *აფხაზეთის საკათალიკოსო*, თბილისი, საგამომცემლო სახლი «ტექნიკური უნივერსიტეტი», 2012.

ჯაფარიძე, ანანია, მიტროპოლიტი, *საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია*, ტ. II, თბილისი, გამომც. «მერანი», 1998.

Аджинджал, Ермолай, Из истории христианства в Абхазии, Сухум, Издательство «Стратофил», 2000, https://yadi.sk/i/D2yQ9Ii3baRmg, ნახ. 13 ოქტომბერი, 2015 წ.

Амичба, Георгий, *Средневековый период (IV-XVIII вв.), Абхазы*, Москва, Издательство «Наука», 2007.

Анчабадзе, Зураб, *Из истории средневековой Абхазии*, Сухуми, Абхазское государственное издательство, 1959.

Ашхацава, Семен, *Пути развития абхазской истории,* Издание Наркомпроса Абхазии, 1925.

Ахаладзе, Лия,*Эпиграфические памятники Абхазии*, Разыскания по истории Абхазии/Грузии, Тбилиси, Издательство «Мецниереба».1999.

Багателия, Анжела, *Православие в Абхазии: Основные этапы истории и национально-культурные особенности*. Автореферат диссертации на соискание учёной степени кандидата исторических наук. Российская академия государственной службы при Президенте Российской Федерации, Москва, 2002, http://www.dissercat.com/content/pravoslavie-v-abkhazii-osnovnye-etapy-istorii-i-natsionalno-kulturnye-osobennosti, ნახ. 15 ოქტომბერი, 2015 წ.

Бакрадзе, Дмитрий, *Кавказ в древних памятниках христианства*, Общество любителей археологии, кн. I, Тифлис, Типография Главного управления наместника кавказского, 1875.

Басария, Симон, *Абхазия в географическом, этнографическом и экономическом отношении*, Сухум-Кале, Издательство Наркомпроса ССР Абхазии, 1923.

Бгажба, Олег, Лакоба, Станислав, *История Абхазии. С древнейших времён до наших дней.* 10-11 классы, Сухуми, Отпечатано с диапозитивов фирмой «Алашарбага», 2006.

Бгажба, Олег, Лакоба, Станислав, *История Абхазии. С древнейших времён до наших дней*,Сухуми, 2007.

Броссе, Мари, *О религиозном и и политическом состоянии Грузии до XVII века*, Журнал Министерства Народного просвящения. Часть XL, Санкт-Петербург, Типография Императорской Академии наук, 1843, Перев. М. Селезнёв, https://books.google.ge/books?id=3D4ZAQAAIAAJ&pg=PA231&lpg=#v=onepage&q&f=false, ნახ. 22 აგვისტო, 2015 წ.

[Воронов Л.], *Абхазия – не Грузия,* Москва, Книгоиздательство «Верность», 1907.

Воронов, Юрий, *Абхазы – кто они?* Гагра, Малое предприятие «Адырра», 1992.

Воронов, Юрий, *В мире архитектурных памятников Абхазии*, Москва, Издательство «Искусство», 1978.

Гамахария, Джемал, Гогия Бадри, *Абхазия – историческая область Грузии.*Тбилиси, Издательство «Агдгома», 1997.

Глава МИД Абхазии: Пока Илия II считает нашу страну частью Грузии, ему сюда дорога отказана, Информационное агентство: Новости федерации. 16.06.2009,http://regions.ru/news/2221224/, ნახ. 13 ოქტომბერი, 2015 წ.

Гунба, Михаил, *Абхазия в первом тысячелетии н. э. Социально-экономические и политические отношения*, Сухуми, Издательство «Алашара», 1989.

Дбар, Дмитрий, «Из истории Абхазского Католикосата, Духовный мир», *Сборник работ учащихся Московских духовных школ,* Московская Духовная Акаде-мия, Сергиев Посад,р. 68-90 http://apsnyteka.org/1602dbar_iz_istorii_abkhazskogo _katholikosata. html, ნახ. 13 მაისი, 2015 წ.

Дбар, Дмитрий, *Была ли Абхазская Церковь автокефальной?* http://batal.livejournal. com/564322.html, ნახ. 13 მაისი, 2015 წ.

Дбар, Дмитрий, *История христианства в Абхазии в первом тысячелетии*. Диссертация на соискание ученой степени кандидата богословия, Сергиев Посад, Свято-Троице-Сергиева Лавра, 2001, http://www.caucasustimes.com/ DbarD.pdf, ნახ. 13 მაისი, 2015 წ.

Дбар, Дмитрий, *История христианства в Абхазии в первом тысячелетии*. Новый Афон, Издательство «Стратофил». 2005, http://www.slideshare.net/anyhaorg/ss-42509456, ნახ. 13 მაისი, 2015 წ.

Дбар, Дорофей, Иеромонах, *Краткий очерк истории Абхазской Православной Церкви*, Новый Афон, Издательство «Стратофил», 2005, http://www.abkhazia.ru/ religion/, ნახ. 13 მაისი, 2015 წ.

Дбар, Дмитрий, *Краткий очерк истории Абхазской Православной* Церкви, Из-дание третье, исправленное и дополненное, Новый Афон, Издательство «Стратофил», 2006,https://yadi.sk/i/jV4vcx65bUnxy, ნახ. 13 მაისი, 2015 წ.

Дбар, Дмитрий, *Религиозные тенденции в современной Абхазии*, Сборник статей, Москва, Издание Православного братства святого апостола Симона Кананита, 1999,https://docviewer.yandex.com/?url=ya-disk-public%3A%2F%2FtSMvlavesSIlySMrwsWBZtrVfeS4NsNK6QZFns8%2Bpz4%3D&name=Dbar_Religioznye_tendentsii_v_sovremennoy_Abkhazii.pdf&c=56178ac8dd27, ნახ. 17 ოქტომბერი, 2015 წ.

Дзидзариа, Гиоргий (ред.), *Очерки истории Абхазской АССР*, т. I, Сухуми, Издательство «Абгосиздат», 1960; т. II, Тбилиси, Издательство «Мецниереба», 1964.

Инал-ипа, Шалва, *Вопросы этно-культурной истории Абхазов*, Сухуми, Изда-тельство «Алашара». 1976.

История возникновения христианства в Абхазии, siteweb: Грузинская Правосла-вная Церковь http://www.geo.orthodoxy.ru/history10.htm, ნახ. 14 მარტი, 2015 წ.

Кация, Анатолий, *Памятники архитектуры в долине Цкуара*, Материалы по ар-хеологии Абхазии,Тбилиси, Издательство «Мецниереба», 1967.

Кожинов, Вадим, *Современная жизнь традиций. Размышления об абхазской литературе*, *Дружба народов*, n°4, Москва, Издательство «Известия», 1977.

Крах мифа о возможном сепаратизме в Самегрело, https://www.youtube.com/ watch?v=UojelNGWUPM, ნახ. 15 ოქტომბერი, 2015 წ.

Марыхуба, Игорь, *Кавказ не был первоначальной родиной грузинского народа,* Академия наук Республики Абхазии, Акуа (Сухум), Абхазский институт гуманитарных исследований им. Д. И. Гулиа, 1999.

Паметъ и житие блаженаго учителя нашего Константина Философа, пръваго наставника словенску узыку, http://krotov.info/acts/09/3/konstan.html, ნახ. 15 ოქტომბერი, 2015 წ.

Папаскир, Алексей, *Баграт III и Абхазское царство*, Сухум, Абхазский государственный университет, 2003.

Папаскир, Алексей, *Обезы в древнерусской литературе и проблемы истории Абхазии*, Сухум, Издательство «Дом печати», 2005.

Папаскир, Алексей, «Проблемы изучения русско-абхазских литературных и культурных связей», Труды Абхазского государственного университета, т.VI, Сухуми, Издательство «Алашара», 1988.

Папаскири, Зураб. *Абхазия. История без фальсификации*. Издание второе, исправленное и дополненное, Тбилиси, Издательство «Меридиани», 2010.

Папаскири, Зураб,*«Абхазское» царство – грузинское государство,საისტორიო ძიებანი*, VIII-IX, წელიწდეული,ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოების აფხაზეთის ორგანიზაცია, თბილისი, გამომც. «მერიდიანი», 2006, გვ. 68-106,http://iberiana2. wordpress.com/abkhazia/ papaskiri/, ნახ. 11 სექტემბერ, 2015 წ.

Папаскири, Зураб, *Об одном заблуждении Дорофея (Дбар)*, წგნ. Зураб Папаскири, *Моя Абхазия. Воспоминания и размышления*, Тбилиси, Издательство «Меридиани», 2012, გვ. 482-486.

Папаскири, Зураб, *Парад невежества. Или очередной вымысел известного фальсификатора*, წგნ. ზურაბ პაპასქირი, *და აღმოცისკრდა საქართველო ნიკოფსიიდან დარუბანდამდე*, თბილისი, გამომც. «მერიდიანი», 2009, გვ. 224-246,http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/29982/4/NikopsiidanDarubandamde.pd, ნახ. 11 სექტემბერი, 2015 წ.

Папаскири,Зураб, *Моя Абхазия. Воспоминания и размышления*, Тбилиси, Издательство «Меридиани», 2012.

Папаскири, Зураб, «Так не пишется история. Некоторые замечания по поводу т.н. «учебника» Истории Абхазии О. Х. Бгажба и С. З. Лакоба», წგნ. Зураб Папаскири, *Моя Абхазия. Воспоминания и размышления*, Тбилиси, Издательство «Меридиани», 2012, გვ. 321-362.

Пространни жития на Кирил и Методий. Сказания о начале славянской письменности. Вступительная статья, перевод и комментарии Бориса Флори (Борис Флоря), Москва, Издательство «Наука», 1981,http://www.inslav.ru/images/ stories/pdf/ 1981_Skazanija_o_nachale_slavjanskoj_pismennosti.pdf, ნახ. 11 ოქტომბერ, 2015 წ.

Рыбаков, А. Л.. «Абхазский Католикосат Грузинской Православной Церкви. К проблеме статуса и канонического строя», XVIII Ежегодная богословская конференция ПСТГУ (Православного Свято-Тихоновского гуманитарного университета), Материалы. Т. I, Москва, Издательство Православного Свято-Тихоновского Гуманитарного Университета, 2008, http://pstgu.ru/download/ 1281269567.rybakov.pdf, ნახ. 10 ნოემბერი, 2015 წ.

Пфаф, Вольдемар, «Материалы для древней истории Осетии», *Сборник сведений кавказских горцев*, Вып. IV. Тифлис, Издаваемый с соизволения Его Императорского Высочества Главнокомандующего Кавказской армией при Кавказском горском управлении, 1870.

Смыр, Григорий, *Эволюция религиозных верований у абхазов*. Автореферат диссертации на соискание учёной степени доктора исторических наук, Институт этнологии и антропологии имени Н. Н. Миклухо-Маклая РАН, Москва, 1997, http://cheloveknauka.com/evolyutsiya-religioznyh-verovaniy-u-abhazov, ნახ. 12 მაისი, 2015 წ.

Тарнава, Михаил, *Краткий очерк истории Абхазской церкви*, Сухум, Издание Бзыбского Комитета Общества распространения просвещения среди Абхазцев, 1917.

Услар, Петр, *Древнейшие сказания о Кавказе*, Сборник сведений о кавказских горцах, Тифлис, Издательство Кавказское горское управление, 1881.

Хонелия, Рауль, «Некоторые вопросы политической истории Абхазии VI-VIII вв. по данным армянских источников», Сборник научных работ аспирантов Абхазского института языка, литературы и истории, Сухуми, Издательство «Алашара», 1967.

Хонелия, Рауль, *Политические взаимоотношения Абхазского царства и царства армянских Багратидов в IX-X вв*. Автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата исторических наук, Ереван, Издательство Академии Наук Армянской ССР, 1967.

Христианская Абхазия, (газета), Официальное Издание Священной Митрополии Абхазии, n°8, 2007.

Чачхалиа, Денис, *Абхазская Православная Церковь (Хроника. Прибавления)*, Москва-Сухуми, *МАААН* (Международная Ассоциация Абхазо-Абазинского народа), 1997.

Чачхалиа, Денис, *Абхазская школа византийской архитектуры (к вопросу о принципах абхазского храмостроения в IX-XIII вв.)*, Академия наук Республики Абхазии, Сухум, Абхазский институт гуманитарных исследований, 2011, http://apsnyteka.org/257-chachhalia_d_3.html, ნახ. 17 ოქტომბერი, 2015 წ.

Чачхалиа, Денис, *Хроника абхазских царей*, Москва, Московский исследовательский центр абхазоведения, 2000, http://apsnyteka.org/255-chachhalia_d_1.html#6, ნახ. 17 ოქტომბერი, 2015 წ.